

კახელებს ყურძნის რეალიზაციაში თბილისის მთავრობა დაეხმარება

A2



ალონსოს და ფიზიკელას ტანდემი

A7



ვენეციაში ჩინური დღეები დაიწყო

A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 2 სექტემბერი, 2005 წელი. №197 (1057)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ჩეჩენი დევნილები მესამე "სამშობლოს" მოლოდინში

პანკისში მცხოვრებ ჩეჩნებს, რომელთა უმრავლესობაც საქართველოში 1999 წელს, ჩეჩნეთის მეორე ომის დროს წამოვიდა, მესამე ქვეყანაში გადასვლა სურთ.

A2

## ამბები

### ანტიკორუფციულ ღონისძიებათა ახალი გეგმა

მომავალი წლიდან ქონებრივი დეკლარაციების შევსების წესი შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეიცვალოს. თანამდებობის პირთა ოჯახის წევრების გარდა, საკუთარი ქონების დეკლარირება მათ ნათესავებსაც მოუწევთ.

A2

## ამბები

### ისრაელისა და პაკისტანის საგარეო უწყებათა მეთაურების პირველი შეხვედრა



აღსანიშნავია, რომ შეხვედრა ზემოაღნიშნულ მხარეებს შორის მხოლოდ მას შემდეგ შედგა, რაც ისრაელმა ღაზას სექტორიდან ებარელი მენაშენეები გაიყვანა.

A3

## რევიუ

### როცა "სოლიდარობა" დაიბადა...

ცნობილი "სოლიდარნოსტის" 25 წლის იუბილე პოლონეთის საელჩომ თბილისშიც აღნიშნა.

A8

## ამინდი

| | 2/09 | 3 /09 |
|---|---|---|
| თბილისი | 26 | 22 |
| ტყიბული | 25 | 22 |
| სოხუმი | 26 | 23 |
| დმანისი | 17 | 16 |
| გორი | 21 | 19 |
| ონი | 21 | 18 |
| ზუგდიდი | 28 | 25 |
| ახმეტა | 25 | 22 |
| გაგრა | 24 | 22 |
| სამტრედია | 26 | 23 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7925 |
| ევრო | 2.1895 |
| ბირთანქა სტერლ. | 3.2002 |
| რუბლი | 0.0628 |

ამბები A 2
ამბები A 3
განცხადებები A 4
უცხოეთი A 5
სპორტი A 6
რევიუ A 7
სხვადასხვა A 8

# რამიშვილს ბექაურმა "ერთგული" მეგობრებითაც აჯობა

თამარ კაციტაძე

*შალვა რამიშვილს, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა, თავის უდანაშაულობის დასამტკიცებლად იმ ბინის მფლობელის ჩვენების იმედი ჰქონდა, სადაც თანხის გადაცემა მოხდა. ამის შესახებ ჯერ კიდევ ორი დღის წინ პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა, რომელმაც ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებელი შალვა რამიშვილი მოინახულა. "მე ჯერ კიდევ არ მეპარება ეჭვი იმ პიროვნების პატიოსნებაში და მისი ჩვენების იმედი მაქვს," - დააბარა რამიშვილმა თევდორაძეს. თუმცა, როგორც გაირკვა, ყველაფერი საწინააღმდეგოდ დატრიალდა. საბედისწერო ბინის მფლობელის შესახებ "24 საათი" რამდენიმე დღის წინ წერდა. სამართალდამცველებისთვის კი აღნიშნული პორივნება, თურმე, გუშინ გახდა ცნობილი და მას ჩვენებაც ჩამოართვეს.*

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის ვებ-გვერდზე ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლის შალვა რამიშვილის საქმესთან დაკავშირებით კიდევ ერთი განცხადება გაავრცელა. **"გამოძიებისთვის ცნობილია იმ ბინის მეპატრონის ვინაობა, სადაც რამდენიმე დღის წინათ ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებელმა შალვა რამიშვილმა დეპუტატ კობა ბექაურს 30 ათასი აშშ დოლარი გამოსძალა,"** - ნათქვამია შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. ბინის მეპატრონე ირმა ჯემალის ასული სტეფნაძეა. ირმა სტეფნაძე, რომელზეც შს სამინისტროს ინფორმაციაშია საუბარი, ამჟამად შპს "საქართველოს რკინიგზის" პრესსამსახურის უფროსია, რამდენიმე წლის წინ კი, მიხეილ მაჭავარიანის მინისტრობის დროს, იგი საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს პრესცენტრს ხელმძღვანელობდა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, სტეფნაძემ უკვე მისცა გამოძიებას ჩვენება, რომელშიც ადასტურებს, რომ რამიშვილის დაკავების დღეს

გაგრძელება A3 გვერდზე

# სასახლე აღზრდილის გადაწყვეტილებას არ ემორჩილება

ვერიკო თევზაძე

**"ვიღაც ბიუროკრატი ყმაწვილი კაცი გამოდის და ამბობს, რომ სასახლის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ასე გარეწრებსაც არ ელაპარაკებიან, არათუ საკუთარ ხალხს და საზოგადოებას. რაც შეეხება კომუნისტურ გადმონაშთს, არანარი იდეოლოგიური ზეწოლა ჩვენ არ გვიგრძვნია. საერთოდ, თუ კომუნისტურ გადმონაშთებზეა საუბარი, მაშინ ბებია-ბაბუებიც კომუნისტური გადმონაშთია და გადაუძახონ მტკვარში,"** - ასე გამოხატა თავისი გულისტკივილი დრამატურგმა ლაშა თაბუკაშვილმა გუშინ, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ საპროტესტო აქცია-შეკრებაზე, სადაც სასახლის პედაგოგები, აღსაზრდელები და სხვადასხვა თაობის აღზრდილები შეიკრიბნენ და სამი საათის განმავლობაში მსჯელობდნენ შექმნილი ვითარების შესახებ.

გაგრძელება A3 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე მერიის გადაწყვეტილებას აპროტესტებს.

# ბესლანის ტრაგედიის დაწყების წლისთავი

"ბესლანის დედები" პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ

დიანა ჩაჩუა

*პირველ სექტემბერს ერთი წელი შესრულდა ბესლანის პირველ სკოლაში ჩეჩენი ბოევიკების შეჭრის შემდეგ, რასაც 331 ადამიანი, მათ შორის, 186 ბავშვი შეეწირა. გუშინ დაწყებული სამგლოვიარო პროცესია ბესლანში ხვალ დასრულდება. დაღუპულთა დედებმა გუშინ რუსეთის ხელისუფლებას უნდობლობა გამოუცხადეს და უცხოელი ჟურნალისტების საშუალებით უცხოურ ქვეყნებს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვეს.*

ერთი წლის წინ, დილის ათის თხუთმეტ წუთზე ბესლანის პირველ სკოლაში პირველად გაისროლეს. გუშინ, ამავე დროს, ბესლანის პირველ სკოლაში ზარების რეკვა გაისმა.

გაგრძელება A3 გვერდზე



მგლოვიარე ბესლანი.

# პრიორიტეტი - ცოდნა

*მესამე დღეა, განაცხადები კეთდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მეორადი კონკურსისთვის, 10 891 აბიტურიენტს 4 სექტემბრის 18 საათამდე აქვს ვადა, კიდევ ერთხელ გააკეთოს არჩევანი. "ჩემს შვილს სამართალმცოდნეობა უნდოდა, გრანტით დარჩა უმაღლესის გარეშე, და ახლა ბაკურციხის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე დავსვა? "- კითხულობს ერთ-ერთი მშობელი რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, რომ აბიტურიენტმა მიზანს ვერ მიაღწია - ვერ გახდა სტუდენტი, მით უფრო მტკივნეულია, რომ ქულებით "გრანტირებული" სასურველი ფაკულტეტს მიღმა დარჩება. მაგრამ, სად არის ტრაგედია?!*

დალი კუპრავა

გამოცდების ცენტრმა აბიტურიენტებს თბილისის და რეგიონების უმაღლესი სასწავლებლების ვაკანტური ფაკულტეტების სია მიაწოდა. ამას გარდა, კავკასიის უნივერსიტეტმა - 96 ადგილი და უფლება, პირველ კურსზე ჩარიცხოს ეროვნული გამოცდების შედეგად სახელმწიფო გრანტის მქონე აბიტურიენტები. კავკასიის ბიზნესის სკოლამ გვიან მიიღო ლიცენზია, ის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა და დამოუკიდებელი უნივერსიტეტი გახდა, რაც თავის დროზე, შენობის არქონის გამო ვერ მოახერხა. ახლა მას აკრედიტებული უმაღლესების თანაბრად მიეცა უფლება. "24 საათს" ესაუბრებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი და პროგრამების კოორდინატორი ია კუტალაძე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უცოდინარი საკრებულო თუ უკანონობა თელავის მერიაში?

*თელავის თვითმმართველობაში ვითარება კვლავ იძაბება. ამ ყველაფრის მიზეზი "რუსთავული მოდელია", რომლის შედეგად ქალაქ თელავის მერიაში საკადრო ცვლილებები დაიწყო. რამდენიმე დღის წინ, ქალაქის მერი ვასიკო დავითაშვილი გადადგა. სიტუაციის გამწვავება ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესიით არქიტექტორის, ნუგზარ ბაჩიაშვილის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია, რომლის შედეგადაც, ქალაქის გამგეობიდან თანამშრომლებს უკანონოდ ათავისუფლებენ და მათ მაგივრად სხვა საშტატო ერთეულს ამტკიცებენ. თვითმმართველობის კანონში კი სულ სხვა ფუნქციებია მინიშნებული.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

თელავის თვითმმართველობაში ქაოსი და დაპირისპირება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარედ მაია დავითაშვილი მივიდა. მიუხედავად იმისა, რომ ხმათა უმრავლესობით, აღნიშნული თანამდებობა თავდაპირველად ლექსო ძულიაშვილმა მოიპოვა, ხანგრძლივი დავის შედეგად, გამარჯვებულად მაია დავითაშვილი, თელავის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, გოჩა მამაცაშვილის ნდობით აღჭურვილი ადამიანი და თანაგუნდელი, გამოცხადდა. მაია დავითაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის სავარძელში მას შემდეგ მოკალათდა, რაც ქალ-რეზერვისტებს სათავეში ჩაუდგა და "სამხედრო სავალდებულო სამსახურიც" მოიხადა.

თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა მამაცაშვილი დღემდე ირწმუნება, რომ თვითმმართველობის საკითხებში არ იხედება და ჟურნალისტები ყურით მოთრეულ ამბებს ვპოულობთ. თელავის მერიაში სიტუაციის გამწვავებას, რაიონში მოქმედი ოპოზიციური პარტიები და თვით საკრებულოს წევრებიც კი, გოჩა მამაცაშვილის სახელს უკავშირებენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ეს ადამიანი იძებნება პოლიციის მიერ




ვინც გვაცნობებს მის ადგილ-სამყოფელს, დაჯილდოვდება

$30 000

ტელ.: 8 77 50 75 29

# ჩეჩენი დევნილები მესამე "სამშობლოს" მოლოდინში

თამარ გაისურაძე

აქცია, რომელიც კახეთის რაიონის სოფელ ზემო ალვანში ჩეჩენი ლტოლვილების აღრიცხვის პარალელურად მიმდინარეობდა, ჩეჩენ ლტოლვილთა საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით მოეწყო. პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩეჩნებს, რომელთა უმრავლესობა საქართველოში 1999 წელს, ჩეჩნეთის მეორე ომის დროს ჩამოვიდა, მესამე ქვეყანაში გადასვლა სურთ. სწორედ, ეს საკითხი გახდა მათ გუშინ გამართული აქციის მიზეზი.

**"არავის უნდა ეთქვას საზღვრის გადაკვეთაზე უარი, თუ მის ქვეყანაში არ დაედევნებიან,"** - ეს გახლავთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკ-ის) მანდატი, რომლითაც რამდენიმე წელია, რაც საქართველოში მოქმედებს.

ლტოლვილები გაეროს ლტოლვილთა უფლებების დაცვის კონვენციით სარგებლობენ. ჩეჩენი ლტოლვილები გლუკ-ს მიმართავენ, რომ მათ ლტოლვილის სტატუსი და მესამე ქვეყანაში გადასვლის შესაძლებლობა მიეცეთ. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აცხადებს, რომ გლუკ-ი ლტოლვილთა სიცოცხლისა და უსაფრთხოების ... ჩატარების შესახებ, **"არ გვსურს იმ ქვეყანაში ცხოვრება, რომელიც რუსეთის ფედერაციას ესაზღვრება."**

1999 წელს ხეობაში დაახლოებით 7 ათასი ჩეჩენი ლტოლვილი ცხოვრობდა. პანკისელი ჩეჩნების რიცხვი 2 ათას 500-მდე მას შემდეგ შემცირდა, რაც მათი ნაწილი მესამე ქვეყანაში გადავიდა საცხოვრებლად. ნაწილი აზერბაიჯანში გადავიდა, თუმცა არა ლტოლვილის სტატუსით; ნაწილი - თურქეთში, გარკვეული რაოდენობის ოჯახები რუსეთში დაბრუნდა. ზოგი მათგანი ევროპაში გაემგზავრა.

ლტოლვილთა გადაწყვეტილებით, რომ მესამე ქვეყანაში გადასვლა სურთ, გლუკ-ი სტატუსის განსაზღვრის ... ლტოლვილთა აღრიცხვას, რომელიც ... უკვე ...

[illegible] ვილს მისცემს თავშესაფარს. მათ შორის პრივილეგირებულნი ის ლტოლვილები არიან, რომლებიც მეორე ქვეყანაში სამედიცინო დახმარებით არ არიან უზრუნველყოფილნი, ან რომლებიც უსაფრთხოებას მოკლებულნი არიან. ერთადერთი "პირობა", რომელსაც ... არ არღვევს ...

გლუკ-ის განცხადებით შედეგად, ლტოლვილთა გარკვეული ნაწილი ... ზემო ალვანში ... ლტოლვილთა აღრიცხვა 30 აგვისტოს დაიწყო და 12 სექტემბრამდე გაგრძელდება. ზემო ალვანში ლტოლვილთა რეგისტრაცია ... **"მათ, ვინც ალვანში მისვლას ვერ შეძლებს, 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით, სამინისტროში ექნებათ რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა. ხოლო, 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე მხოლოდ იმ ლტოლვილების აღრიცხვა, რომლებიც გამოუცხადებლობის მიზეზს დაასაბუთებენ."**

ლტოლვილთა აღრიცხვა ... "ტაჯი"-ს ... ორგანიზაცია ... UNICEF-ი ... საქართველოს სამედიცინო ... ლტოლვილთა ... დასახლებულ ადგილზე ... "ტაჯი" სამი ... ლტოლვილთა ...

ლტოლვილთა ... აცხადებენ, რომ ... ამის ...

ჩეჩენ ლტოლვილებს, რომლებიც ... 90-იანი წლების მიწურულს ... სტატუსი მისცეს. დღეს ეს უკანასკნელნი სტატუსს ინდივიდუალურად ითხოვენ. **"ინდივიდუალური სტატუსის მიღებისთვის აუცილებელია მათი საბუთების გადახედვა, რის შედეგადაც, სრულებით შესაძლებელია, ბევრ მათგანს საერთოდ აღარ მიეცეს სტატუსი,"** - გვითხრა ეთერ ასტემიროვამ, რომელმაც ეს ინფორმაცია ლტოლვილებსაც მიაწოდა.

... დასვლამდე თითოეულ ლტოლვილს უტარდება ინტერვიუ, შემდეგ მათ მონაცემებს ჟენევაში აგზავნიან, გაეროს სათაო ოფისიდან კი დონორ ქვეყანას უკავშირდებიან. ხშირ შემთხვევაში, ლტოლვილების მიერ საცხოვრებლად შერჩეული მესამე ქვეყანა და ამ ქვეყნის "განწყობა" ლტოლვილების მიმართ ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან ყველა ქვეყანას აქვს დაწესებული კვოტა, თუ რამდენ ლტოლ-

# ანტიკორუფციულ ღონისძიებათა ახალი გეგმა

*მომავალი წლიდან ქონებრივი დეკლარაციების შევსების წესი შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს. თანამდებობის პირთა ოჯახის წევრების გარდა, საკუთარი ქონების დეკლარირება მათ ნათესავებსაც მოუწევთ. მეტიც, ახალი წესები, საჯარო მოხელეების გარდა, წელიწადში ერთხელ დეკლარაციების შევსებას სახელმწიფო საწარმოთა ხელმძღვანელ პირებსაც ავალდებულებს. ამ და სხვა საკითხებს ითვალისწინებს ანტიკორუფციული ახალი სამოქმედო გეგმა, რომელზეც ევროსაბჭოში, სექტემბრის მეორე ნახევარში იმსჯელებენ.*

ეთერ მამულაშვილი

საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა - ასე ჰქვია ამ დოკუმენტს, რომელზედაც ერთდროულად რამდენიმე სამინისტრო მუშაობდა და რომელსაც კოორდინაციას რეფორმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი უწევდა.

ამ დოკუმენტში, ანტიკორუფციულ ქმედებათა მოძველებულ თეზისებთან ერთად, რამდენიმე ახალი პუნქტიც გაჩნდა, რომელიც, პირველ რიგში, ორი ახალი სამსახურის შექმნას ითვალისწინებს. ეს იქნება სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი, რომელთაგან ერთი - შინაგან საქმეთა სამინისტროში, მეორე კი - გენერალურ პროკურატურაში უნდა შეიქმნას და რომელიც, კანონით, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში კორუფციული გარიგებების გამოვლენა-გამჟღავნებაზე იმუშავებს.

მაღალი თანამდებობის პირთა ერთგვარი მონიტორინგი მათი სამსახურიდან წასვლის შემდეგაც უნდა გაგრძელდეს, - ამას ანტიკორუფციული დოკუმენტის ერთ-ერთ პუნქტი გულისხმობს. სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ვატო ლეჟავას თქმით, ყოფილა შემთხვევები, როცა ყოფილი ჩინოვნიკები სწორედ თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ შეიმჩნეოდნენ სხვადასხვა კორუფციულ გარიგებებში. ჯერჯერობით, დაზუსტებული არ არის, თუ რამდენ წელიწადს გაგრძელდება ამ პირთა მონიტორინგი. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ვატო ლეჟავას თქმით, ვადა სხვადასხვა სახელმწიფო მოხელეებთან მიმართებაში განსხვავებული იქნება.

ამ დოკუმენტში მთავარი სიახლე და ის, რაზედაც სახელმწიფო მინისტრის აპარატში განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ, ქონებრივი დეკლარაციების სისტემის რეფორმას ეხება. როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილე განმარტავს, რეფორმის შემდეგ ქონებრივ დეკლარაციებს მაღალი თანამდებობის პირებისა და ოჯახის წევრების გარდა, მათი ნათესავებიც შეავსებენ. **"მეორე მხრივ, დეკლარაციების შევსების ფორმა უნდა გახდეს მარტივი. დღეს ეს წესი გართულებულია და, რაც მთავარია, ის ნაკლებად ასახავს საჯარო მოხელეთა რეალურ ქონებას. ახალ კანონში ეს ყველაფერი დახვეწილი უნდა იყოს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ვატო ლეჟავამ.

რეფორმა და ზემოთ ხსენებული ანტიკორუფციული დოკუმენტი, საჯარო მოხელეების გარდა, ქონებრივი დეკლარაციების შევსებას სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი, მსხვილი საწარმოების ხელმძღვანელ პირებსაც ავალდებულებს. თუმცა, ჯერჯერობით არც ის არ არის დაზუსტებული, ამ სიაში რომელი საწარმოების ხელმძღვანელები შევლენ. სავარაუდოდ, ეს ის საწარმოები იქნება, სადაც სახელმწიფო აქციების 51 და მეტ პროცენტს, ანუ საკონტროლო პაკეტებს ფლობს.

**"განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციისა და სახელმწიფო შესყიდვების პროცესს. ყოფილა შემთხვევები, როცა რომელიმე შპს პრივატიზაციის ან სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მონაწილეობს და ამ შპს-ს უკან მაღალი თანამდებობის პირი დგას. ამ პროცესში მაქსიმალური გამჭვირვალობის მიღწევა ძალიან მნიშვნელოვანია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ამისათვის საჭირო იქნება შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწა,"** - ამბობს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ვატო ლეჟავა.

# პრეზიდენტმა გენერალური შტაბის დებულება დაამტკიცა

საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის მიხედვითაც შეიარაღებული ძალების დებულება დამტკიცდა.

დებულების თანახმად, გენერალური შტაბი თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფია და შეიარაღებული ძალების ოპერატიულ მართვას ახორციელებს.

გენერალური შტაბის ფუნქციებსა და ამოცანებს თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვაში მონაწილეობა, შეიარაღებული ძალებისთვის სტრატეგიულ-ოპერატიული გეგმების მომზადება და სტრატეგიულ-ოპერატიული მიმართულებების განსაზღვრა წარმოადგენს.

დებულების მიხედვით, გენერალური შტაბი მონაწილეობს შეიარაღებული ძალების წვრთნისა და სამხედრო მომზადების პოლიტიკის შემუშავებაში და მისი განხორციელების მონიტორინგში, ასევე შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის გეგმების შემუშავებაში.

გენერალურ შტაბს ხელმძღვანელობს გენშტაბის უფროსი, რომელიც არის პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო მრჩეველი და უმაღლესი სამხედრო წარმომადგენელი ნატო-ს სამხედრო კომიტეტსა და კოალიციაში. გენშტაბის უფროსს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს პრეზიდენტი.

გენერალური შტაბი 7 დეპარტამენტისგან შედგება. ესენია: პირადი შემადგენლობის, დაზვერვის, ოპერატიული დაგეგმვის, ლოგისტიკის, სტრატეგიული დაგეგმვის და სამხედრო პოლიტიკის, კავშირგაბმულობის, სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტები. **ინტერპრესნიუსი**

# კახელებს ყურძნის რეალიზაციაში თბილისის მთავრობა დაეხმარება

გუშინ თბილისის პრემიერი თემურ ქურხული კახეთის გუბერნატორს, პეტრე ცისკარიშვილს და დედაქალაქში მოქმედი ბაზრის დირექტორებს შეხვდა. შეხვედრაზე ყურძნის რეალიზაციის საკითხი განიხილეს. როგორც ცისკარიშვილმა განაცხადა, წელს კახეთში საკმაოდ დიდ მოსავალს ელიან. **"მოწეული ყურძენი, გასულ წელთან შედარებით, ხარისხითაც უკეთესი იქნება, რადგან ამინდებმა შეუწყო ხელი. შესაწამლად გამოყენებული შხამქიმიკატებიც ხარისხიანი იყო,"** - განაცხადა ცისკარიშვილმა.

გლეხებს მოსავლის გასაღების პრობლემაღა რჩებათ, სწორედ ამ საკითხის მოსაგვარებლად, კახეთის გუბერნატორი დღეს დედაქალაქს ესტუმრა. თემურ ქურხულის განცხადებით, თბილისის ყველა რაიონში გამოყოფილი იქნება სპეციალური სავაჭრო ადგილები, სადაც ყურძენი გაიყიდება. დაახლოებით, 700-800-მდე მცირე და დიდგაბარიტიანი მანქანა დედაქალაქის ყველა რაიონში გადანაწილდება, საიდანაც ყურძნის რალიზაცია შედგება.



დედაქალაქის მთავრობა მევენახეებს მხარში ამოდგომას ჰპირდება.

კახეთიდან წამოსულ მცირე და დიდი გაბარიტის სატვირთო მანქანებს, რომლითაც ყურძენს დედაქალაქში შემოიტანენ, თბილისის შემოსასვლელში რაიონის გამგებლები დახვდებიან და გლეხებს ყურძნის ბაზრის ტერიტორიაზე განლაგებაში დაეხმარებიან.

ცისკარიშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ მიზანმიმართულად დაიწყო ბრძოლა ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, რაც ყურძნის რეალიზაციას შეუწყობს ხელს. **"სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქტიური მუშაობით ყურძნის მწარმოებლებზე სპეციალური პასპორტები გაიცემა ვაზის ჯიშების ადგილ-წარმოშობის მიხედვით, დაწესდება მკაცრი კონტროლი და ვერანაირად ვერ მოხდება, რომ აზერბაიჯანიდან შემოტანილი ყურძნით დამზადებულ ღვინოს ქართული ეწოდოს,"** - განაცხადა ცისკარიშვილმა. თემურ ქურხულის განცხადებით, ყურძნის რეალიზაცია თბილისში 15 სექტემბრიდან დაიწყება და ერთ თვეს გაგრძელდება. კახეთში 100 ათას ტონაზე მეტ ყურძნის მოსავალს ელიან.

**24 საათი**

# უცოდინარი საკრებულო თუ უკანონობა თელავის მერიაში?

პირველი გვერდიდან

### ფაქტი, რომელსაც გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ყურით მოთრეულს უწოდებს

რამდენიმე დღის წინ, თელავის მერმა ვასიკო დავითაშვილმა, ნებსით თუ უნებლიეთ, თანამდებობა დატოვა და მის მოვალეობას წინა დღეს მოადგილედ დანიშნული ნუგზარ ბაჩიაშვილი ასრულებს.

ვითარება სტაბილური იქნებოდა, რომ არა მოვალეობის შემსრულებლის მიერ მიღებული საეჭვო გადაწყვეტილებები. მან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილება გამგეობის ექვს თანამშრომელს მისცა. ამ დროისთვის თანამდებობა უკვე დაატოვებინეს აპარატის უფროსს ქეთევან ელიზბარაშვილს. ამჯერად აქტიურად მიმდინარეობს "მოალაპარაკებები" სოციალურ და კულტურის საკითხებში ქალაქის გამგებლის მოადგილესთან, მიხეილ დალუნდარიძესთან და ბუღალტერ ხათუნა დურგლიშვილთან. როგორც მიხეილ დალუნდარიძე ჩვენთან საუბარში ამბობს, ნუგზარ ბაჩიაშვილმა პირადად განუცხადა, რომ მისი ადგილი სჭირდებოდა. **"როდესაც ბაჩიაშვილს ვკითხე, რის გამო მათავისუფლებ-მეთქი, მან ასე მიპასუხა, ზევიდან არის მითითებაო. თან დააყოლა, შენი ადგილი გვჭირდებაო,"** - ამბობს დალუნდარიძე, რომელსაც გათავისუფლების შესახებ ბრძანებულება 29 აგვისტოს გადაეცა, მაგრამ ქალაქის გამგებლის მოადგილემ ამ ბრძანებულებას ხელი არ მოაწერა.

იგი მოქმედებას კანონის შესაბამისად აპირებს და სასამართლოში ქალაქ თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვს.

გააპროტესტებს თუ არა ბუღალტერი ბაჩიაშვილის "გადაწყვეტილებას", ჯერ უცნობია. საგულისხმო კი მის გათავისუფლებაში ის არის, რომ ბაჩიაშვილი თავის უწყებაში ბუღალტრის შტატის გაუქმებას გეგმავს. რაც შეეხება აპარატის უფროსს, მას საჩივრის წერა დროის დაკარგვად მიაჩნია, რადგან მოსამართლე გადაწყვეტილებას ახალი კადრის ინტერესების გათვალისწინებით გამოიტანს.

ნუგზარ ბაჩიაშვილმა ქალაქ თელავის საკრებულოს "გამგეობის საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" გასულ კვირას მიმართა, ქალაქის საკრებულომაც სასწრაფოდ მოიწვია სხდომა, გადაწყვეტილება მიიღო და მას ხელი მაია დავითაშვილმაც მალევე მოაწერა.

თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებულებებს საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ (24-ე მუხლის მესამე პუნქტი). ამ მუხლის თანახმად, **"გამგებელს (მერს) აქვს თანამდებობიდან გადადგომის უფლება. გამგებლის (მერის) თანამდებობიდან გადადგომა ან განთავისუფლება იწვევს შესაბამისი გამგეობის (მთავრობის) გადადგომას. გამგეობის (მთავრობის) წევრები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ გამგეობის (მთავრობის) ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე."** კანონის თანახმადვე, **"ქალაქის გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარემ პრეზიდენტს უნდა აცნობოს. პრეზიდენტი კი ქალაქის საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით ნიშნავს გამგებლის რიგგარეშე არჩევნებს. თუ გამგებლის კანონით დადგენილ მორიგ არჩევნებამდე დარჩენილია სამ თვეზე ნაკლები, რიგგარეშე არჩევნები არ ინიშნება და გამგებლის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე."**

### თელავის თვითმმართველობაში ყველაზე დიდი კანონი მაინც მაია დავითაშვილია

მიუხედავად ამისა, თემურ ბაჩიაშვილი კვლავ განაგრძობს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. თელავის მერის მოვალეობის შემსრულებელი, რამდენიმე შტატის შემცირების ხარჯზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გეგმავს. ამის შესახებ მან საკრებულოს უკვე მიმართა. კერძოდ, საუბარია კეთილმოწყობის სამსახურის შექმნაზე. კანონდარღვევებთან დაკავშირებით, ქალაქ თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ბაჩიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ და ამბობენ, რომ ისინი კანონის ფარგლებში მოქმედებდნენ. მაია დავითაშვილი თავს იმით იმშვიდებს, რომ თვითმმართველობის კანონმდებლობაში გამგებლის მოვალეობის შეზღუდვებზე არაფერი წერია. რაც შეეხება ბაჩიაშვილს, იგი არ გამორიცხავს, რომ კანონი დაარღვია, დალუნდარიძის ბრალდებას კი უსაფუძვლოს უწოდებს. **"არსად არ არის ცალსახად მაინც დაფიქსირებული, რომ გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ახალი გამგეობის მოწვევის უფლებები და შეზღუდვები აქვს. გადაწყვეტილებები იმის გამო მივიღე, რომ მერიამ ნორმალურად იმუშაოს. შესაძლებელია, არაპოპულარული ნაბიჯები გადავდგი და დარღვევებიც იყოს, მაგრამ მე გავაკეთე ის, რაც აკრძალული არ მაქვს,"** - ამბობს ბაჩიაშვილი.

### ოპოზიცია ვადამდელი არჩევნების ჩატარებას მოითხოვს

ზემოთ აღნიშნული კანონმდებლობა კი ოპოზიციურ პარტიებს აძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ თელავის თვითმმართველობაში თვითნებობაა. ამის გამო ისინი ვადამდელი არჩევნების დანიშვნას მოითხოვენ. **"სწორედ ამის გამო მართებს მოსახლეობას აქტიურობა და თუ ამის შემდეგ, ხელისუფლებამ ამომრჩევლის ინტერესები არ გაითვალისწინა, ჩვენ, ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები, ხელმოწერების შეგროვებას დავიწყებთ, რათა თვითმმართველობის ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს,"** - აცხადებს ეროვნულ-დემოკრატიულის პარტიის წარმომადგენელი თელავში ზაზა ჩიკვაიძე. "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები კი კანონის უზენაესობაზე საუბრობენ და ამბობენ, რომ დროა გაუთავებელი დავა დასრულდეს.

ქალაქის ყოფილი მერი ვასიკო დავითაშვილი მოვლენებს ამ დროისთვის გამგეობის შენობიდან აკვირდება, რადგან თანამდებობის დატოვებიდან რამდენიმე დღეში იგი თელავის გამგეობაში ინფრასტრუქტურის განყოფილების გამგედ დაინიშნა.

ქალაქ თელავის გამგეობის კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ გოჩა მამაცაშვილი ამ დროისათვის კატეგორიულად მოითხოვს, რომ გათავისუფლებული თანამშრომლების ხელმოწერილი გათავისუფლების ბრძანებები მის კაბინეტში მოიტანონ, და დარწმუნდეს, რომ თვითმმართველობაში მისი კადრები მოვიდნენ. თუმცა, ამაზე ღიად, სამსახურის დაკარგვის შიშით ქალაქის მერიაში არავინ საუბრობს.

# ვნებათაღელვა ფოთის ნავსადგურში

ქეთინო ჭაკობია
ფოთიდან

1 სექტემბერს, დილით, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" დაცვის სამსახურის თანამშრომლებს თავიანთ სამუშაო ადგილებზე პოლიცია და სპეცსამსახურები დახვდა. როგორც გაირკვა, ამიერიდან ნავსადგურს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის სამსახური გააკონტროლებს.

სამუშაოს დაკარგვის შიშით, ნავსადგურის ორასამდე თანამშრომელმა დახმარებისათვის ქალაქის საკრებულოს მიმართა, მაგრამ იმ მიზეზით, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას პორტის საქმიანობაში ჩარევა არ შეუძლია, თვითმმართველობის ორგანოდან ამომრჩევლებს არავინ გამოხმაურებია.

**"ირღვევა ხელშეკრულება, რომელიც ნავსადგურის ადმინისტრაციასთან დაცვის მუშაკებს - 1 თებერვლამდე, საშუთა ბიუროს თანამშრომლებს კი 31 დეკემბრამდე გვაქვს გაფორმებული. ჩვენ კვალიფიცირებული სპეციალისტები ვართ და მოგვცენ ის ხელფასები, რაც ხელშეკრულებით გვეკუთვნის,"** - მოითხოვა საშუთა ბიუროს თანამშრომელმა ბაბილინა ბობოხიძემ.

ადმინისტრაციულ შენობასთან შეკრებილი ნავსადგურელები თავიანთი უფლებების დაცვას ითხოვდნენ. ისინი დავის სასამართლოში გაგრძელებას არ გამორიცხავდნენ. აქციის მონაწილეთაგან რამდენიმეს პოლიციელის ფორმის ჩაცმის სურვილი არ აღმოაჩნდა. ზოგი მოსახლეობის უუფლებობაზე, ფოთელების ინტერესების მიზანმიმართულ იგნორირებასა და პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის მხრიდან ცრუ დაპირებებზე ალაპარაკდა. დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან კონტრაქტი კი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის დირექტივას დაბრალდა.

**"ნავსადგური არის სტრატეგიული მნიშვნელობის სასაზღვრო ობიექტი. აქედან გამომდინარე, დაცული უნდა იყოს სახელმწიფო დაცვის მიერ,"** - ასეთი იყო ფოთის პორტის გენერალური დირექტორის, თემურ მიმინოშვილის განმარტება.

**"ჯერ ნავსადგურის დაცვის სამსახურიდან არავინ გათავისუფლებულა. პორტმა დაცვის დეპარტამენტთან კონტრაქტს გარკვეული თანხა დაამატა იმ მიზნით, რომ თავისი თანამშრომლებისათვის პირობები არ შეეცვალა. ვისაც აქვს სურვილი და შესაძლებლობა, შეუძლია პოლიციის სამსახურის შტატში გაფორმდეს. პირადად მე მივაღწიე შეთანხმებას, რომ, ვისაც ასაკის პრობლემა აქვს, იმუშავებს, როგორც ნებით დაქირავებული. ვისაც ფორმის ჩაცმა არ სურს, დარჩება, როგორც გუშაგი. თუმცა, ვისაც პოლიციელის ფორმის ჩაცმის გამო პრეტენზია აქვს, დაცვის სამსახურში არც უნდა იყოს,"** - განაცხადა მიმინოშვილმა. მისი მტკიცებით, ხელშეკრულების არც ერთი პუნქტი არ დაირღვევა და სამსახურიდან უფულოდ დათხოვნის შემთხვევაში, თითოეული ნავსადგურელის ინტერესებს პირადად დაიცავს.

პასუხი კითხვაზე, თუ რა მოხდება 31 დეკემბრის ან თუნდაც, 1 თებერვლის შემდეგ, მიმინოშვილს არ გააჩნია. **"ნავსადგურისათვის რა მნიშვნელობა აქვს, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მე გავუგრძელებ კონტრაქტს თუ დაცვის პოლიცია?"** - კითხულობს იგი.

პორტის თანამშრომლებისთვის არავის განუმარტავს, დაპირების მიუხედავად, რატომ არ გაიზარდა მათი ხელფასები. თუმცა, აქამდე არსებული 220 ლარის დაკარგვის შიშით, ისინი წინასწარ 6 თვის ანაზღაურების გაცემას მოითხოვენ.

არეულობა და ხმაური ნავსადგურის ადმინისტრაციაში, მიმინოშვილის განმარტებით, არასწორი ინფორმაციის გავრცელებამ განაპირობა. **"ხალხმრავლობამ შექმნა ფონი, თითქოს ნავსადგურში მუშაობა გაჩერდა, რაც არასწორია. კომუნიკაციის რაღაც რგოლში შეფერხებამ გამოიწვია გაუგებრობა. ინციდენტი არ ყოფილა, ვფიქრობ, ყველა კმაყოფილია,"** - განაცხადა ნავსადგურის ხელმძღვანელმა.

კმაყოფილება არც ერთ თანამშრომელს არ ეტყობოდა. ბოლომდე გაურკვეველი დარჩა პორტის ადმინისტრაციასთან მათი მომავალი ურთიერთობაც.

**"არავითარი შეთანხმება არ მიღწეულა. ხალხმა, უბრალოდ, მოისმინა პორტის დირექციის მიერ შემოთავაზებული პირობები. ინციდენტი ამოიწურება, როცა შრომით ხელშეკრულებას ბოლო ადამიანი გააფორმებს,"** - განაცხადა "ახალი მემარჯვენეების" ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ირაკლი კაკულიამ.

# 2 მილიონ 321 ათასი ლარის გაურკვეველი მისამართი

*თბილისის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციის ცენტრის ლიკვიდაციის შემდეგ, შენობების კაპშეკეთების ფუნქცია კეთილმოწყობის სამსახურს გადააბარეს. გადანაცვლების პროცესში კაპმშენებლობის თანხები 2 მილიონ 321 ათასი ლარით შემცირდა. როგორც მერიაში განმარტავენ, ეს თანხა სხვადასხვა ღონისძიებებზე გადანაწილდა, ოღონდ, რა ღონისძიებებზე - ვერავინ აკონკრეტებს.*

ნანა ქადაგიშვილი

საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციის ცენტრი მერიამ მაისში გააუქმა. მისმა მემკვიდრემ, კეთილმოწყობის სამსახურის კაპმშენებლობის განყოფილებამ კი საქმიანობა მხოლოდ 16 აგვისტოს დაიწყო. სამი თვის განმავლობაში ავარიული შენობების სარემონტო სამუშაოები შეჩერებული იყო - რეორგანიზაციის სამართლებრივი მხარის მოგვარება გაჭიანურდა, რადგან კაპიტალური მშენებლობის განყოფილება მანამდე ურბანული დაგეგმარების სამსახურის დაქვემდებარებაში იყო, ახლახან კი კეთილმოწყობის სამსახურის დაქვემდებარებაში გადავიდა. ასე რომ, საბინაო ცენტრის ფუნქციას უკვე კეთილმოწყობის სამსახურის კაპმშენებლობის განყოფილება ასრულებს, ოღონდ, შემცირებული ხარჯებით.

2005 წლის ბიუჯეტიდან თბილისის ავარიული სახლების აღსადგენად საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციის ცენტრს 10 მილიონ 320 ათასი ლარი გამოეყო. აქედან, ცენტრმა 4 მილიონ 480 700 ლარი დახარჯა და 5 მილიონ 839 300 ლარი დარჩა. თუმცა, კეთილმოწყობის სამსახურს ეს დარჩენილი თანხა სრულად არ მიუღია. 5 მილიონ 839 300 ლარიდან კაპშეკეთებაზე მხოლოდ 3 მილიონ 518 200 ათასი ლარი დაიხარჯება. **"კაპმშენებლობის ხარჯები იმ მიზნით არ შემცირებულა, რომ ეს გამოკლებული თანხა რაიმე კონკრეტულ ღონისძიებას მოხმარებოდა. ბიუჯეტის კორექტირების შემდეგ აღნიშნული 2 321 ათასი ლარი, სხვა თანხებთან ერთად, სხვადასხვა ღონისძიებაზე გადანაწილდა,"** - განგვიცხადა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილემ ლია გუგუშვილმა.

კაპმშენებლობის განყოფილებამ 3 518 ათასი ლარით 44-მდე ობიექტის პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები უნდა დააფინანსოს. წელს 12-მდე ობიექტის მშენებლობა-გამაგრება დასრულდება. შვიდამდე ობიექტის გამაგრება კი დასრულდებოდა, ბიუჯეტიდან თანხები რომ დაემატებინათ. მაგალითად, ვარკეთილი-3-ში მდებარე №18 კორპუსის გამაგრებითი სამუშაოების დასრულებას 400 ათასი ლარი აკლდება; ვარკეთილის დასახლება, ზემო პლატო, №3 კორპუსის გამაგრებას - 40 ათასი ლარი. ობიექტების ნაწილზე კი ჯერ მხოლოდ საპროექტო სამუშაოებია შესრულებული. ფაქტია, რომ თბილისის ათასობით ავარიული კორპუსისთვის 2 მილიონ 321 ათასი ლარი ზედმეტი ნამდვილად არ იქნებოდა. ქალაქის ხელმძღვანელობა კი კაპმშენებლობის ბიუჯეტის შემცირების მიზეზსაც ვერ აკონკრეტებს.

## ორი სიტყვით

**მინსკი.** მინსკში დაკავებული ქართველი "კმარელები" გიორგი კანდელაკი და ლუკა წულაძე, შესაძლოა, შაბათს გათავისუფლდნენ.

დაკავებულების ადვოკატი მინსკის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს, რომლის მიხედვითაც, კანდელაკსა და წულაძეს ხულიგნობის მოტივით 15-დღიანი პატიმრობა შეეფარდათ. პროცესი შაბათს გაიმართება. საქართველოს კონსულები რუსეთსა და უკრაინაში კანდელაკისა და წულაძის მონახულებას კიდევ ერთხელ შეეცდებიან. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი დღეს ბათუმში საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელებთან გაფართოებულ შეხვედრას გამართავს.

საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, ელჩებთან შეხვედრაზე განხილული იქნება ქვეყანაში მიმდინარე მთავარი პოლიტიკური საკითხები. ძირითადად, საუბარი შეეხება ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციასა და ნატოში ინტეგრაციის საკითხებს. ასევე შეხვედრაზე ისაუბრებენ ეკონომიკურ საკითხებზე, მათ შორის ინვესტიციების მოზიდვაზე.

ზურაბიშვილის თქმით, მეორე დღეს ელჩებთან, ძირითადად, შიდა სამზარეულოზე, კადრებისა და ფინანსურ საკითხებზე ისაუბრებენ.

შეხვედრას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე დაესწრებიან. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მთავრობისა და საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლები უკრაინის დედაქალაქში მიემგზავრებიან, სადაც 2-5 სექტემბერს "თბილისის დღეები" ტარდება.

დელეგაციას ქალაქის მერი გიგი უგულავა ხელმძღვანელობს. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ვიცე-პრემიერი კახა საყვარელიძე, განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი ნატა მაჩალაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი და საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობის წარმომადგენლები. ისინი კიევში ოპოზიციონერი კოლეგების გარეშე გაემგზავრებიან. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში ხვალ რეკრუტთა საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) ფარგლებში გაწვრთნილი მესამე ნაკადის გამოშვებისადმი მიძღვნილი ცერემონია გაიმართება. 400-მდე რეკრუტს ხვალ სერთიფიკატები საზეიმო ვითარებაში გადაეცემა.

რეკრუტებისთვის სპეციალური სასწავლო კურსი, რომელსაც ქართველი სამხედრო ინსტრუქტორები ხელმძღვანელობდნენ, სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროგრამის ფარგლებში სამხედრო მოსამსახურეებს ჩაუტარდათ ტაქტიკური, საცეცხლე და ტოპოგრაფიული მომზადების კურსი, ჩასაფრებისა და დაზვერვის ტექნიკის დაუფლების, ასევე, საველე პირობებში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კურსები **ინტერპრესნიუსი**.

■ ■ ■

**თბილისი.** ვლადიკავკაზში, ქურდობის ბრალდებით დაკავებული საქართველოს მოქალაქე ჯინიკაშვილი სოვეტსკოეს რაიონის სასამართლოდან გაიქცა. როგორც ქალაქის მილიციაში განმარტავენ, ჯინიკაშვილმა გაქცევა დაცვის უყურადღებობის გამო მოახერხა. იგი სასამართლოში წინასწარი აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მიზნით მიიყვანეს. მათივე ინფორმაციით, ტარდება ოპერატიული ღონისძიებები გაქცეულის ადგილსამყოფელის დასადგენად. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კონტროლის პალატამ საბიუჯეტო ორგანიზაციებში თანხების ხარჯვის კონტროლის მიზნით გეგმური შემოწმება დაიწყო. კანონმდებლობის თანახმად, პროცესი ექვს თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს. შემოწმებების ანგარიში საკანონმდებლო ორგანოს ოქტომბერში გადაეგზავნება. კანონმდებლობით, იგი ბიუჯეტის შესრულების შესახებ ფინანსთა სამინისტროს ექვსი თვის ანგარიშს თან უნდა ახლდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ახალგაზრდა მეღვინეთა კავშირმა" გუშინ პრეზენტაცია გამართა. 7 კომპანიის მიერ წარმოდგენილ 20-მდე სახეობის ღვინოებთან ერთად, გუშინდელ პრეზენტაციაზე სტუმრებს 1962 წელს ჩამოსხმული ღვინოების - "საფერავისა" და "გურჯაანის" დაგემოვნების საშუალებაც ჰქონდათ. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო კომპანია "ქართული ლეგენდის" მიერ დამზადებული მშრალი, წითელი ღვინო "საფერავი", რომელმაც ამავე კომპანიის დირექტორის, გიორგი თევზაძის თქმით, 2005 წლის მარტში ლონდონში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე ვერცხლის მედალი აიღო. პრეზენტაციას გერმანელი და ფრანგი სპეციალისტები, ასევე, სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი ესწრებოდნენ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ინფლაციური პერიოდი დაიწყო. როგორც "ინტერპრესნიუსს" სტატისტიკის დეპარტამენტის ფასების სამმართველოს უფროსმა ლია მდინარაძემ განუცხადა, ზაფხულის დასრულებასთან ერთად დასრულდა დეფლაციური პერიოდი, რის გამოც ქვეყანაში ფაქტობრივი ინფლაცია უკვე სახეზე გვექნება. **"მიმდინარე წლის შვიდ თვეში ფასების შთამბეჭდავი ზრდა დაფიქსირდა. თამბაქოს ფასები - 30 პროცენტით, ხორცისა და ხორცპროდუქტების ფასები საშუალოდ - 13-14 პროცენტით, ხოლო საწვავის ფასები კი 9-10 პროცენტით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, სეზონურმა ფაქტორმა ყოველივე ეს გადაფარა და შვიდ თვეში ქვეყანაში 1,3-პროცენტიანი დეფლაცია დაფიქსირდა,"** - განაცხადა მდინარაძემ. მისივე თქმით, ფასების ზრდა ლარის კურსის მნიშვნელოვან ვარდნას არ გამოიწვევს, რადგან ეროვნული ბანკი კურსის სიმყარისთვის მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს და ამის ინსტრუმენტები და რეზერვები გააჩნია. **"ფასების ზრდის მიუხედავად, ინფლაცია კატასტროფული არ იქნება და ორნიშნა მაჩვენებელს არ მიაღწევს,"** - განაცხადა მდინარაძემ. სტატისტიკის დეპარტამენტში მიმდინარე წელს 9-პროცენტიან ინფლაციას ელოდებიან. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პრიორიტეტი - ცოდნა

პირველი გვერდიდან

**- რატომ დარჩა მაღალი ქულების მქონე 84 გრანტირებული აბიტურიენტი "გარეთ", მეორადი კონკურსის იმედად?**

**მაია მიმინოშვილი:** ეს ვერ გაითვალისწინეს აბიტურიენტებმა და მშობლებმა, ხუთივე ისეთი ფაკულტეტი შემოხაზეს, სადაც ძალიან მაღალი კონკურსია. იყო შემთხვევა, როცა აბიტურიენტს ხუთივე ფაკულტეტი კავკასიის ბიზნესის სკოლაში ჰქონდა მითითებული. მიუხედავად მაღალი ქულებისა, ის გარეთ დარჩა.

ეს ყველაფერი გამოცდილებაა, საკუთარი შესაძლებლობების შეფასება. თუ სამი ფაკულტეტი ძალიან პრესტიჟულია, ბოლო ორი მაინც ჩაწერე ისეთი, სადაც მეტ-ნაკლებად გარანტირებული იქნები.

**ია კუტალაძე:** სწორედ ამ კატეგორიას ეძლევა მეორად კონკურსზე შანსი. მაღალი რეიტინგის მქონე 84 აბიტურიენტი, ჯერჯერობით, სტუდენტი ვერ გახდა. ბუნებრივია, თუ მათი არჩეული ფაკულტეტები "პრესტიჟულები" იყო - ჩვენთან ეს იურიდიული, დიპლომატიური, საერთაშორისო, "იესემი", ჟურნალისტიკაა - ჩაირიცხნენ ისინი, ვისაც უფრო მაღალი ქულები ჰქონდა, ვიდრე მათ. პრობლემა ამან შექმნა, მაგრამ ეს მართლა გამოცდილებაა, ჯერ ყველა ერთნაირად არ არის სისტემაში გარკვეული. ყველა შემთხვევაში სისტემა ისეა აწყობილი, რომ აბიტურიენტს არჩევანის დიდი სპექტრი აქვს. თუ ძირითადი კონკურსი ხუთი არჩევანის საშუალებას აძლევს, მეორადი კონკურსი - 10 ვარიანტია. შესაბამისად, მისი შანსი იზრდება, განსაკუთრებით მათთვის, ვისი სურვილია - "ოღონდ ჩაირიცხოს". რაც არ უნდა გაუგებარი იყოს, ასეთი დამოკიდებულებაც არსებობს. დღეს მეორად განაცხადებს რომ ვიღებდი, ზოგმა ორი ან სამი ფაკულტეტი დაწერა, რადგან მხოლოდ იქ უნდათ, მაგრამ არის ხალხი, ვისთვისაც სულერთია, "ოღონდ"... რაც შეეხება აურზაურს, რაც გუშინ და დღეს შეიქმნა. ის არცოდნამ გამოიწვია: ეგონათ, რომ გადამწყვეტი - განაცხადების რიგითობა იყო, ვინც პირველი შეიტანდა, ის ჩაირიცხებოდა. არცოდნა... ძალიან მნიშვნელოვანია, აქვს თუ არა საჭირო ინფორმაცია აბიტურიენტს, რომელიც გაუგებრობას აცილებს.

**მაია მიმინოშვილი:** ძალიან რთული გამოდგა ბევრი ინფორმაციის მიწოდება: იქ - რეიტინგული ჩამონათვალი გრანტებისთვის, იქ - ჩარიცხულთა სია, იქ - ვაკანსიები, იქ - ვინც ვერ მოეწყო... და აბიტურიენტებისა და მშობლების თვალით რომ ვუყურებ, მათ არ ვამტყუნებ. ამ სიახლის ერთბაშად აღქმა ძალიან რთულია. ასახსნელად ყველაზე რთული გამოდგა, რომ ეს ორი დამოუკიდებელი კონკურსია და შეიძლება, გრანტის მფლობელი აბიტურიენტი კონკრეტულ სპეციალობაზე ვერ მოხვდეს, მაგრამ იმავე სპეციალობაზე მოხვდეს მასზე დაბალი ქულის. ასახსნელი ხდება, "როგორ, მე 1500 ქულა მაქვს და ვერ მოვხვდი, ის კი 1400 ქულით მოხვდა!" ვერ ვივიწყებთ დახარისხების ფორმას "ფასიანი და უფასო" -გრანტი, რომელსაც 4200 აბიტურიენტი ფლობს, ნიშნავს, რომ მათი სწავლის საფასურს სახელმწიფო იხდის. ეს პირველი წელია და სხვაგვარად არც ველოდით.

**ია კუტალაძე:** დიდმა ნაწილმა ჩათვალა, რომ რაკი 17 ათასში მოხვდა, აუცილებლად სტუდენტი ხდებოდა. რა თქმა უნდა, თუ იდეალური შესაბამისობით იქნებოდა განაწილებული ფაკულტეტების ჩამონათვალი, თეორიულად ეს ვარიანტი სრულიად დასაშვები იყო, თუმცა რეალობა ვნახეთ. ფაქტია, რომ სისტემამ იდეალურად იმუშავა, როგორც გვქონდა დაგეგმილი. ჩვენ ამ ტალღასაც ველოდით. ბუნებრივია, როცა მიზანს ვერ აღწევ, რეაქცია არის.

**- პირველი წელი, გამოცდილების არქონა, სუბიექტური თვითშეფასება - სერიოზული მიზეზებია, მაგრამ იქნებ**


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*კითხვები მრავლად გაჩნდა.*

**ინფორმაციის გავრცელების ფორმები არ იყო ეფექტური - გაზეთი, თუნდაც ტელევიზია და საიტი...?**

**მაია მიმინოშვილი:** გეთანხმებით, რომ ინფორმაციის აბსოლუტური სიმძლავრით მიწოდება ცოტა სხვაგვარად უნდა ყოფილიყო. ეს ჩვენთვისაც გამოცდილება იქნება - რომ გვცოდნოდა, სხვაგვარად მოვიქცეოდით. ჩვენ ბევრი შესაძლებლობა შევთავაზეთ წელს აბიტურიენტებს: ძირითადი - ხუთი არჩევანი. შეიძლება, "ამხელა" არჩევანმა შექმნა აზრი, რომ უფრო ადვილად და აუცილებლად ჩაირიცხებოდნენ უმაღლესში, აუცილებელი გარანტიის ილუზია შექმნა. იმას აღარ უწევდნენ ანგარიშს, რომ ლაპარაკი არ იყო რეიტინგული 17 ათასის ქვევით, დარჩენილ 15 ათასზე. ეს თხუთმეტი ათასიც მოსახვედრად იყო განწყობილი: აი, ხუთი არჩევანი გავაკეთე და დამიმტკიცე, როგორ შეიძლება ვერც ერთზე ვერ მოვხვედრილიყავი.

**ია კუტალაძე:** ის, რაც მედიაში გადიოდა, ერთია, მაია მიმინოშვილი საქართველოს ყველა ქალაქში იყო პრეზენტაციებით ჩასული (მოგზაურობას თბილისის რაიონებში, ჩვენი გაზეთის თანამშრომელი მრავალჯერ დასწრებია. რედ.). ჩვენ ინფორმაციას თავიდანვე ვაწვდიდით. საბოლოო ჯამში, შეუძლებელია, სიმართლე ყველამ არ დაინახოს. მაგრამ, მაინც გეთანხმებით, ინფორმაციის ნაკადები სად და როგორ უნდა წასულიყო, ეს დასამუშავებელია. ჩვენ ერთი ჯგუფი ვართ და სისტემის აგებაზე ვმუშაობდით, ეს გაკეთდა.

**- ის აპრიორი, რომ გადამწყვეტი - ცოდნაა, საზოგადოებამ ერთგვაროვნად ვერ მიიღო, თუმცა ბალანსი არის. თუ არსებობს შანსი, რომ საქართველოს უმაღლესის რომელიმე ფაკულტეტი შეუვსებელი დარჩეს?**

**მაია მიმინოშვილი:** - არსებობს.

**- საზოგადოებაში გამჯდარია აზრი, რომ, უმაღლესი და სტუდენტობა თუ არა, რა უნდა აკეთოს ახალგაზრდამ? რას სთავაზობს სახელმწიფო, უფრო რადიკალურები კი კითხულობენ: პანელსა და ნარკოტიკს?**

**მაია მიმინოშვილი:** თუ ადამიანს მაინცდამაინც სამართალმცოდნეობა უნდა, რატომ არის ტრაგედია, ერთი წელი "დაკარგოს", ანუ შეიძინოს კიდევ ცოდნა, რომ უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს. თუმცა, მას აქვს თავისი ქულები მომავალი წლისთვის და აქვს თავისი გრანტი, რომელიც "შენახულია" მისთვის. შეუძლია, გააუმჯობესოს შედეგები. მას აქვს მიზანი და რატომ მივიჩნევთ, რომ ყველაფერი დამთავრდა. არ უნდა იყოს ეს ასეთი ტრაგიკული. გაისად ისედაც მეტი გრანტი იქნება, თუმცა წელს დარჩენილი გრანტიანები, თავისთავად, იმ კვოტაში გათვალისწინებულები იქნებიან. ამას გარდა, იქნება სხვადასხვა ტიპის დაფინანსება, სრული, ნაწილობრივი. გრანტირებულთა რაოდენობა ნამდვილად გაიზრდება. ალბათ, ამუშავდება საკრედიტო სისტემა, გრძელვადიანი სესხები სწავლის საფასურის გადასახდელად. თუმცა, ჩარიცხვის პრობლემას ისევ და მხოლოდ ერთი გადაწყვეტს - ცოდნის პრიორიტეტი.

*P. S. შემოქმედებითი ინსტიტუტების აბიტურიენტებს მხოლოდ მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა მოეთხოვებოდათ - მათი გრანტიან თუ ფასიან ფაკულტეტზე ჩარიცხვა ხდება იმ ქულათა რაოდენობის მიხედვით, რაც შემოქმედებით გამოცდებზე დააგროვეს. მაგალითად, თუ გიორგი ქარქაშაძე ქანდაკების ფაკულტეტზე მისაღებ შემოქმედებით გამოცდებზე მიღებული შეფასების შედეგად "უფასოთა" სიაში დამკვიდრდა, მას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ყველაზე დაბალი ქულაც კი (მინიმალურზღვარგადალახული!) მოპოვებულს ვერ დააკარგვინებს.*

# რამიშვილს ბექაურმა "ერთგული" მეგობრებითაც აჯობა

პირველი გვერდიდან

მასთან სახლში ნამდვილად იმყოფებოდნენ ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებელი შალვა რამიშვილი, დეპუტატი კობა ბექაური და იმ დროისთვის მისთვის უცნობი მამაკაცი, ვინმე კოხრეიძე. გამოძიებისთვის ასევე ცნობილია, რომ შალვა რამიშვილი აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სტეფნაძეს 5 ათას დოლარს სთავაზობდა, რაზეც ბინის მეპატრონემ თავიდანვე უარი განაცხადა და ეს ფაქტი მაშინვე აცნობა ბექაურს.

**"სტეფნაძის ჩვენებამ გამოძიებას კიდევ ერთი უტყუარი მტკიცებულება შეჰმატა, რაც შალვა რამიშვილის დანაშაულებრივ ქმედებას ადასტურებს,"** - სჯერათ შინაგან საქმეთა სამინისტროში, რასაც ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

შალვა რამიშვილის ადვოკატებმა მათი დაცვის ქვეშ მყოფნი გუშინ თბილისის N1 საპყრობილეში მოინახულეს. შეხვედრის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთმა ადვოკატმა, დავით კორკოტაშვილმა აღნიშნა, რომ შალვა რამიშვილი ირმა სტეფნაძის ჩვენებას სრულ აბსურდსა და სიცრუეს უწოდებს. კორკოტაშვილის განმარტებით, ადვოკატებმა დაკავებულებთან გარკვეული პროცესუალური საკითხები შეათანხმეს, რომელიც ჯერჯერობით საჯაროდ არ ხმაურდება. გუშინვე შალვა რამიშვილს, დავით კოხრეიძეს და მათ ადვოკატებს გააცნეს დაკავების დროს ამოღებულ თანხასთან დაკავშირებით ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილება. ადვოკატის თქმით, რამიშვილი და კოხრეიძე ისევ შიმშილობენ და ისინი თბილისის N1 საპყრობილის სამკურნალო ნაწილში არიან გადაყვანილები.

გუშინ საღამოსვე ადვოკატებმა შალვა რამიშვილის სპეციალური განცხადება გაავრცელეს, სადაც ბრალდებული საზოგადოებას 27 აგვისტოს მომხდარი მოვლენების ირგვლივ თავის პოზიციას უზიარებს.

**"არასოდეს, არც ერთი სიტყვით, უნებლიე ჟესტითაც კი არ შემითავაზებია ბექაურისათვის ფულის სანაცვლოდ მასზე შექმნილი საგამოძიებო ფილმის არგაშვება. ეს შეუძლებელიც იყო. ჩემ მიერ ფილმის დაბლოკვის მცდელობა გამოიწვევდა სკანდალს,"** - აღნიშნავს შალვა რამიშვილი. მისი განცხადების თანახმად, ბოლო ოთხი თვის მანძილზე თავად ბექაური ძალიან ბევრჯერ სთხოვდა, რომ ფილმი არ გაეშვა.

**"მისი ზარები (რომელიც დაფიქსირებულია ჩემს ტელეფონზე) იმდენად ხშირი და მომაბეზრებელი იყო, რომ უამრავ ადამიანს ვეუბნებოდი, მომაშორეთ ბექაური-მეთქი. ამ ადამიანთა შორის არიან ლევან რამიშვილი თავისუფლების ინსტიტუტიდან, თინა ხიდაშელი და სტუდია "რეპორტიორი"-ს თანამშრომლებიც,"** - ამტკიცებს ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი.

**"უეცრად, 23 თუ 24 აგვისტოს, როდესაც ქობულეთში ვიყავი, დამირეკა ირმა სტეფნაძემ, ჩემმა კარგმა ნაცნობმა და მითხრა, ბექაურს შენთან რაღაც კომერციული წინადადება აქვს. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ შევხვდი სტეფნაძეს, რომელმაც მითხრა, რომ ბექაური არნახულ თანხას - 100 000 აშშ დოლარს იხდიდა ფილმის არგაშვებაში. მე ჩავთვალე, რომ დაფიქსირება იმისა, რომ ბექაური დიდ თანხას იხდიდა ფილმის არგაშვებაში, ამ ფილმის არგუმენტებს გაამყარებდა,"** - წერს რამიშვილი.

თუმცა, რადგან სტუდია "რეპორტიორის" დამფუძნებელი ვახო კომახიძე არ იყო თბილისში, მან ჩანაფიქრი ვერ განახორციელა - ფარული კამერით ვერ ჩაწერა თანხის გადაცემის მომენტი.

**"თავდაპირველად დაჟინებით მოვთხოვე ბექაურს ტრანსაქცია, ანუ ჩემს ანგარიშზე ნაღდი თანხის ჩარიცხვა მომხდარიყო ოფიციალურად ბანკში პირადად ბექაურის მიერ, მოწმეების თანდასწრებით, ოფიციალური საბუთით. ამის თაობაზე იცის "ბაზის ბანკის" ხელმძღვანელობამაც, კონკრეტულად ზურა ციხისთავმაც,"** - ასეთი იყო რამიშვილის გეგმა, რომელიც მისი განცხადებით, ირმა სტეფნაძის ზარის შემდეგ შეიცვალა. ამიტომ ფულის გადაცემაც სტეფნაძის სახლში მოხდა.

**"ფული რომ არ ამეღო, ბექაური დაეჭვდებოდა და შემდეგი შეხვედრაც არ შედგებოდა. მე კი მეორე შეხვედრაზე ვაპირებდი ფარულად ფულის გადაცემის ჩაწერას. სამწუხაროდ, ჩემი პირველი მცდელობა ჟურნალისტური გამოძიების ჩატარებისა პროვოკაციით დასრულდა,"** - წერს რამიშვილი და ირწმუნება, რომ მის წერილში მოყვანილი ფაქტების სისწორე შეიძლება შემოწმდეს სატელეფონო ამონაწერებით და მოწმეთა დაკითხვით.

**"მაგრამ, მინდა გითხრათ მთავარი, ჩემს წინააღმდეგ მათ აქვთ ფირი, სადაც ჩანს, თუ როგორ ვიღებ ფულს. ანუ, გამოძიებას ჩემს წინააღმდეგ გააჩნია ფალსიფიცირებული ნივთმტკიცება - ამოღებული ფულის სახით და ბექაურის სიტყვა - მისი ჩვენება. აი, თქვენ ახლა გაქვთ ჩემი სიტყვა. რომელი სიტყვა გადაწონის, ბექაურის თუ ჩემი, ეს უკვე ჩემი მაყურებლებისა და ჩემი ხალხის გადასაწყვეტია. მე მხოლოდ თქვენი იმედი მაქვს,"** - ასე ამთავრებს რამიშვილი წერილს.

იმოქმედებს თუ არა რამიშვილის "აღსარება" მართლმსაჯულებაზე, დღეს გახდება ცნობილი. წინასწარი პატიმრობის კანონიერების შესახებ დღეს საოლქო სასამართლო იმსჯელებს.

# სასახლე აღზრდილის გადაწყვეტილებას არ ემორჩილება

პირველი გვერდიდან

სასახლის დირექტორი გია შალამბერიძე საპროტესტო აქციის მონაწილეებს არ შეერთებია, იგი საკუთარ კაბინეტში იჯდა.

საპროტესტო აქცია-შეკრებაზე მხარდამჭერებს შორის იყვნენ სხვადასხვა თაობის "მზიურელები", აგრეთვე, ნინელი ჭანკვეტაძე, ზურაბ ყიფშიძე, ირაკლი კაკაბაძე, რამაზ საყვარელიძე... ყველა გამომსვლელი განსაკუთრებულ აღშფოთებას გამოხატავდა ქალაქის მერის გიგი უგულავას გამონათქვამზე, რომ სასახლე არის კომუნისტური გადმონაშთი. **"ნუთუ სხვა საკითხი არ გვაქვს გადასაჭრელი?"** - ასეთ შეკითხვას სვამს ცნობილი მსახიობი ზურაბ ყიფშიძე, რომელსაც ვერ წარმოუდგენია, **"ამდენი ადამიანის გაყრის შემდეგ აქ შემოსულებმა როგორ უნდა იმეცადინონ!"**

ნინელი ჭანკვეტაძის აზრით, ხელისუფლების ამგვარი საქციელი არის უზნეობა და ცინიზმი იმ ადამიანების მიმართ, ვინც მას მხარი დაუჭირა. მსახიობი ქალბატონი ცნობილ ბალერინას ნინო ანანიაშვილს ურჩევს, **"ეს ჭუჭყი მოიშოროს."**

**"მე საშუალო ფენის წარმომადგენელი ვარ. ჩემნაირ ადამიანებს არ აქვთ საშუალება, შვილები სასწავლებლად გაუშვან ლონდონში, პარიზში... ჩვენ შეგვიძლია ჩვენი შვილები მოვიყვანოთ აქ - ცოდნის, სილამაზის, სიკეთის სამყაროში. თუ დღეს ჩემი თაობა გაბოროტებული არ არის, იმიტომ, რომ აქ დადიოდა,"** - განაცხადა ნინელი ჭანკვეტაძემ და იქვე დასძინა, რომ მას არ უყვარს ასეთ შეკრებებზე სიტყვით გამოსვლა, მაგრამ ამ შემთხვევაში გაჩუმება უზნეობად მიაჩნია.

გუშინდელ საპროტესტო აქციაში მონაწილეობდა სასახლის ყოფილი დირექტორი შალვა ბერიანიძე. მან გაიხსენა შემთხვევა, როდესაც კომუნისტების დროს პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ შენობის დასაკუთრებას აპირებდა: **"მაშინდელმა დირექტორმა ზურაბ ლომიძემ განაცხადა, სანამ ცოცხალი ვარ, კარში არავის შემოვუშვებო. შენობა წართმევას გადაურჩა,"** - შენიშნავს ბერიანიძე.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ამჟამინდელი დირექტორი გია შალამბერიძე, რომელსაც გუშინ "24 საათი" საკუთარ კაბინეტში ესაუბრა, ორ ცეცხლს შუა იწვის, მაგრამ არჩევანს მაინც "დისციპლინის" სასარგებლოდ აკეთებს: **"ძალიან მოხარული ვიქნებოდი, თუკი ჩემი პატარა შვილები აქ ივლიდნენ... მიუხედავად ამისა, ჩემი, როგორც სახელმწიფო მოსამსახურის პოზიცია ასეთია: სახელმწიფო თვითონ განკარგავს თავის ქონებას და აქედან გამომდინარე, მე, როგორც დისციპლინირებული სახელმწიფო მოსამსახურე, ვემორჩილები ამ ჩემთვის საკმაოდ მძიმე გადაწყვეტილებას."**

სასახლის თანამშრომლები დღეისთვის აპირებენ შეკრებას, რათა სამოქმედო გეგმებზე იმსჯელონ. გუშინდელი შეთანხმების მიხედვით, კვირას სასახლის აღსაზრდელები "მწუხრის კონცერტს" გამართავენ. აქციის მონაწილეების გადაწყვეტილებით, ორშაბათს, ორ საათზე, სასახლესთან უნდა შეიკრიბოს ყველა ის ადამიანი, ვისაც, 1941 წლიდან მოყოლებული დღემდე, ამ დაწესებულებასთან რაიმე შეხება ჰქონდა.

სასახლის აღსაზრდელებს ასევე დაგეგმილი აქვთ შეხვედრები სახალხო დამცველის აპარატში. ისინი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, ილია მეორესთან შეხვედრასაც აპირებენ. სხვათა შორის, გუშინდელ შეკრებაზე გაირკვა, რომ პატრიარქის ყოფილ სტიქაროსანს, ამჟამად თბილისის მერს გიგი უგულავას ერთ დროს უშუალო შეხება ჰქონია "კომუნისტურ გადმონაშთთან". სასახლის არქივში მოიპოვება ყელსახვევიანი ბიჭუნას ფოტო, რომელიც მაშინდელ პიონერთა სასახლეში ლალა კალანდარიშვილთან რუსული ენისა და ლიტერატურის წრეზე დადიოდა. ეს ქალაქის ამჟამინდელი მერი გიგი უგულავაა.

უცხოეთი

# ბესლანის ტრაგედიის დაწყების წლისთავი

პირველი გვერდიდან

დაღუპულებისთვის პატივის მისაგებად სკოლის ეზოში ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი.

სკოლის სპორტდარბაზის კედლებზე, სწორედ იმ ოთახში, სადაც ჩეჩენი ბოევიკები ტყვეებს აკავებდნენ, დაღუპული მოსწავლეების, მასწავლებლების და სპეცრაზმის წარმომადგენელთა ფოტოებია გაკრული. დარბაზის დანგრეულ რაფებზე წითელი მიხაკები, რბილი სათამაშოები და წყლის ღია ბოთლებია დაწყობილი იმის მოსაგონებლად, თუ როგორ ძლიერ სწყუროდათ ბესლანელ ტყვეებს. ამ დღეებში სამართალდამცავი ორგანოები ბესლანში გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობენ. სკოლაში და სასაფლაოზე მოხვედრა მეტალოდეტექტორში გავლის გარეშე შეუძლებელია.

ბესლანში ყველა სამგლოვიარო ღონისძიება ხაზგასმულად არაოფიციალურად ტარდება - ქალაქში ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ელიან. თუმცა, ბესლანელი დედების წინააღმდეგობის მიუხედავად, დაღუპულთათვის პატივის მისაგებად პოლიტიკოსები მაინც ჩავიდნენ. ერთ-ერთმა პირველმა სკოლა გენადი ზიუგანოვმა მოინახულა. მას გვერდით პატარა ბავშვი მიჰყვებოდა, რომელიც უკვე წელია, ყოველ დილით თავის დედას ეძებს. კომუნისტური პარტიის ლიდერის შემდეგ სკოლაში ჩრდილოეთ ოსეთის ლიდერი ტაიმურაზ მამსუროვი მივიდა შვილთან ერთად. ეს უკანასკნელი სკოლაში შტურმს შემთხვევით გადაურჩა. მამსუროვთან ერთად სკოლაში დიმიტრი კოზაკიც მივიდა. არანაირი ოფიციალური განცხადებები გუშინ სკოლაში არ გაკეთებულა.

სამგლოვიარო ღონისძიებაზე სკოლის ყოფილი დირექტორი ლიდია ცალიევაც მოვიდა, თუმცა ამან დამსწრეთა აღშფოთება გამოიწვია და სამართალდამცავები იძულებულნი იყვნენ, ცალიევა სკოლის ტერიტორიიდან გაეყვანათ.

გუშინ ბესლანის სკოლაში დაღუპულთა ნათესავების მხრიდან ხმამაღალი განცხადებები კეთდებოდა. ბესლანელები რუსეთის ფედერალურ ხელისუფლებას უნდობლობას უცხადებენ. მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ მათ ბევრ ფაქტებს უმალავენ. როგორც ისინი ამბობენ, მათთვის დღემდე გაურკვეველია, როგორ მოახერხეს ჩეჩნებმა სკოლამდე მიღწევა და რატომ განაცხადეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი მათთან მოლაპარაკებებზე. ყველაზე მეტად კი მათ აინტერესებთ, ვინ მიიღო გადაწყვეტილება შტურმის შესახებ.

გუშინ სკოლის წინ "ბესლანელი დედების" კომიტეტმა სპეციალური მიმართვა გააკეთა. **"ჩვენ, სამ სექტემბერს დაღუპულთა მშობლებმა და ნათესავებმა, იმის ყოველგვარი იმედი დავკარგეთ, რომ ამ ტრაგედიის მიზეზები სამართლიანად იქნება გამოძიებული. ჩვენ არ ვაპირებთ იმ ქვეყანაში ცხოვრებას, სადაც ადამიანის სიცოცხლეს ფასი არ აქვს. ჩვენ ვითხოვთ პოლიტიკურ თავშესაფარს ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ადამიანის უფლებები დაცულია."**

მიმართვაში, ასევე, საუბარია შტურმის დროს ტყვეების ლიკვიდაციის და იმ სასამართლო პროცესის შესახებ, სადაც, ბესლანელების თქმით, სახელმწიფო ბრალმდებელი მთელი დანაშაულის ტერორისტებზე გადაბრალებას ცდილობს. **"ტერორისტული აქტი შედგა. ბოევიკებმა სკოლაში 21 მამაკაცი მოკლეს. ქალებს და ბავშვებს ისინი არ კლავდნენ. მაშინ ვინ დახვრიტა დარჩენილი 300-ზე მეტი ადამიანი, რომელთა უმეტესობას სწორედ ქალები და ბავშვები შეადგენდნენ?"** - კითხულობდნენ გუშინ ბესლანელები.

**"ჩვენ სიმართლეს გვიმალავენ. თუმცა, ჩვენ უკვე ვიცით სიმართლე. ჩვენ ვიცით, ვინ გაცვალა ჩვენი შვილების და ახლობლების სიცოცხლეები თავის ბინძურ პოლიტიკაზე. მან თავისი მახინჯი პოლიტიკის გამო ტერორისტებთან მოლაპარაკებებზე წასვლას თავი აარიდა. 1-3 სექტემბერს რუსეთის ფედერალურმა ხელისუფლებამ ერთ მუჭა ტერორისტებზე ცინიკური და სისხლიანი გამარჯვება განიცადა,"** - ვკითხულობთ "ბესლანელი დედების" განცხადებაში.

მიმართვის ავტორების თქმით, რუსეთის ხელისუფლებისთვის ისინი მხოლოდ "კავკასიური იერის მქონე პირები" არიან. ბოლოს, დაღუპულთა დედებმა უცხო ქვეყნის პოლიტიკოსებს და ხალხს თანადგომისათვის მადლობა გადაუხადეს.

როგორც გუშინ უცხოური მედიის საშუალებებით გახდა ცნობილი, ერთწლიანი დემონსტრაციების და წერილების შემდეგ "ბესლანელმა დედებმა" მიაღწიეს რუსეთის პრეზიდენტთან აუდიენციას. შეხვედრა დღეს, სამგლოვიარო ცერემონიების დროს შედგება. **"ეს ჩვენთვის კიდევ ერთი შეურაცხყოფა და დარტყმაა. ეჭვგარეშეა, რომ მრჩევლები, რომლებმაც პუტინს ეს თარიღი შესთავაზეს, ფიქრობდნენ, რომ ასეთ სამგლოვიარო დღეს ჩვენ მოსკოვში არ ჩავიდოდით. ხელისუფლებაში არსებული ხალხის ცინიზმს საზღვარი არ აქვს. თუმცა, სიმართლის გაგებისთვის ჩვენ ამ შეურაცხყოფასაც ავიტანთ. მოვითხოვთ, რომ დამნაშავეები დაისაჯონ. ამბობენ, რომ პრეზიდენტი არასწორად იყო ინფორმირებული. მაგრამ, ამის მიუხედავად პრეზიდენტი პირველია, ვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება,"** - აცხადებდა "ბესლანის დედების" კომიტეტის წევრი ელა კესაევა. ამ უკანასკნელმა 2004 წლის პირველ სექტემბერს სკოლაში ორი შვილი - ზაური და ზარინა გაუშვა. უმცროსი ზაური ნაღმზე აფეთქდა და თავისი დის ხელებში გარდაიცვალა.

ხვალ, ორის ხუთ წუთზე ბესლანის პირველ სკოლაში კვლავ ახმაურდება ზარები, რასაც მთელ რესპუბლიკაში წუთიერი დუმილი მოყვება. ამის შემდეგ, სკოლის სპორტდარბაზში მოსწავლეები შევლენ და ჰაერში 331 თეთრ საჰაერო ბუშტს გაუშვებენ. სამ საათზე კი, მემორიალურ სასაფლაოზე ქანდაკება "გლოვის ხე" გაიხსნება. პარალელურად ახსენებენ ყველა დაღუპულის სახელსა და გვარს. სამ სექტემბერს, უკანასკნელი სამგლოვიარო ღონისძიება სკოლის დანგრეულ კედელზე ბესლანის ტრაგედიაზე გადაღებული ფილმის ჩვენება იქნება.

# სტიქიური უბედურება ტაივანზე

კუნძულ ტაივანზე უძლიერესი ქარიშხლის "თალიმის" შეტევის შედეგად დაიღუპა 2 და დაშავდა 39 ადამიანი. ტაივანის უმთავრეს ქალაქებს არ მიეწოდება ელექტროენერგია, პარალიზებულია სატრანსპორტო მიმოსვლა, ხოლო ზოგიერთ მათგანში დარჩენილი მოსახლეობა წყალდიდობისაგან თავის დაღწევას ცდილობს.

თუ თავდაპირველად ქარიშხლის გადაადგილების სიჩქარე 162 კმ/სთ იყო, იგი მოგვიანებით 126 კმ/სთ-მდე შემცირდა.

ტაიფუნები ხშირად ატყდება თავს ტაივანს, იაპონიას, ფილიპინებს, ჰონკონგსა და სამხრეთ კორეას. ეს ქვეყნები ადრეული ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ქარიშხალსაშიშ ზონად ცხადდება ხოლმე.

უკანასკნელ ხანს აღმოსავლეთ აზიაში ყველაზე დამანგრეველ ქარიშხლად 2001 წელს ტაიფუნი "ტორაჯი" ცნეს, რომელმაც 200 ტაივანელის სიცოცხლე შეიწირა. **სი-ენ-ენი**

# ალბანეთის საპარლამენტო არჩევნებში მემარჯვენეებმა გაიმარჯვეს

ალბანეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა საპარლამენტო არჩევნების შედეგები, სადაც გამარჯვება მემარჯვენე ოპოზიციამ მოიპოვა. არჩევნები 60 დღის წინ, 3 ივლისს ჩატარდა, მაგრამ შედეგების ასე დაყოვნებით გამოცხადების მიზეზი გამარჯვებულთა ლეგიტიმურობის წინააღმდეგ შეტანილი არაერთი სარჩელი გახდა. მემარჯვენე ოპოზიციის, რომლის ლიდერიც ყოფილი პრეზიდენტი სალი ბერიშია, გამარჯვებას მმართველი სოციალისტური პარტია აპროტესტებდა.

შედეგების ოფიციალურად ცნობის შემდეგ კი პრემიერ-მინისტრმა ფატოს ნანომ გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება.

ალბანეთის პრეზიდენტი ალფრედ მოისიუ უახლოეს დღეებში აპირებს პარლამენტის სხდომის გამართვას, რომელზეც ბერიში უკვე ოფიციალურად დამტკიცდება პრემიერ-მინისტრად. გამარჯვებულებმა 140 კაციან პარლამენტში 81 მანდატი მოიპოვეს, სოციალისტებს კი მხოლოდ 42 დეპუტატი ეყოლებათ.

მომავალი პრემიერ-მინისტრი, სალი ბერიში ქვეყანას 1992 წელს ჩაუდგა სათავეში. პრეზიდენტის პოსტი მან მასობრივი მღელვარების ფონზე დაიკავა, თუმცა უკვე 1997 წელს მას ამ თანამდებობის დათმობა მოუხდა. ქვეყნის სათავიდან ბერიშის ჩამოცილებას შეიარაღებული ამბოხი დასჭირდა, რომელიც თავის მხრივ ფინანსური "პირამიდის" ნგრევა გახდა. მოსახლეობამ იმ პერიოდში მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ზარალი განიცადა. შეიარაღებული ამბოხის შედეგად ხელისუფლების სათავეები ყოფილმა კომუნისტებმა სოციალისტური პარტიიდან 8 წლით დაიკავეს. **იტარ-ტასი**

# ისრაელისა და პაკისტანის საგარეო უწყებათა მეთაურების პირველი შეხვედრა

ისრაელისა და პაკისტანის საგარეო უწყებათა ხელმძღვანელები, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დათბობის ნიშნად, სტამბულში შეხვდნენ. ეს მართლაც უპრეცედენტო ფაქტია, რადგან ამ ორი ქვეყნის დიპლომატიურ პრაქტიკაში ერთმანეთთან მიმართებაში აქამდე ანალოგიურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

"სი-ენ-ენ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს, სილვან შალომსა და მის პაკისტანელ კოლეგას, ხურშიდ მეჰმუდ კასურის მოლაპარაკებებმა თბილ ატმოსფეროში ჩაიარა.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრა ზემოაღნიშნულ მხარეებს შორის მხოლოდ მას შემდეგ შედგა, რაც ისრაელმა ღაზას სექტორიდან ებარელი მენაშენეები გაიყვანა. პაკისტანის პრეზიდენტმა ამ ნაბიჯის გამო საჯაროდ შეაქო პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი.



*ისრაელ-პაკისტანის პირველი ოფიციალური შეხვედრა დიპლომატიურ დონეზე.*

თანაც აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელსა და პაკისტანს ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები არ აკავშირებთ.

საინფორმაციო სააგენტო "რიანოვოსტ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პაკისტანელი ისლამისტების რეაქცია ამ შეხვედრაზე უკიდურესად კრიტიკული იყო.

**"ჩვენთვის მიუღებელია პაკისტანელი მინისტრის შეხვედრა სიონისტური სახელმწიფოს წარმომადგენელთან,"** - განაცხადა ქვეყნის მმართველი ექვსი პარტიის ალიანსის "მუტაჰიდა მეჯლისიე ამალ"-ის ლიდერმა ყაზი ჰუსეინ აჰმადმა. მისი თქმით, ეს შეხვედრა ეწინააღმდეგება პაკისტანის პოლიტიკისა და ისლამის უმთავრეს დებულებებს.

**"ჩვენი პოლიტიკა მუსლიმური უმის (მსოფლიო ისლამური საზოგადოება) ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს და არ ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს პრინციპებს. ჩვენ არ ვცნობთ ისრაელს ლეგიტიმურ სახელმწიფოდ, მას უკანონოდ აქვს ოკუპირებული ალ-კუდსი, იგივე იერუსალიმი,"** - აცხადებს აჰმადი.

რადიკალი ისლამისტის განცხადებით, ქვეყნის რელიგიური პარტიები და მოძრაობები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა პაკისტანმა არ აღიაროს ოფიციალურად ისრაელის სახელმწიფოებრიობა.

**"ჩვენ სტრატეგიასა და მოქმედების შემდგომ ნაბიჯებს სხვა რელიგიურ და პოლიტიკურ გჯუფებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ ჩამოვაყალიბებთ. სხვა ისლამურმა სახელმწიფოებმა კი იმიტომ ცნეს ისრაელის სახლემწიფოებრიობა, რომ მათ სათავეებში იმპერიალიზმის აგენტები დგანან,"** - აღნიშნა ასევე აჰმადმა. **24 საათი**

# ალ-კაზიმის მეჩეთთან დაღუპულთა რიცხვმა 1000-ს გადააჭარბა

ბაღდადის მუსა ალ-ქაზიმის მეჩეთის დაბომბვაზე პასუხისმგებლობა "ალ-ქაიდასთან" დაკავშირებულმა ერთ-ერთმა დაჯგუფებამ აიღო. განცხადებაში ნათქვამია, რომ ბოევიკებმა მეჩეთს ოთხი ჭურვი ესროლეს. ამის შესახებ ტელეარხი "ალ-არაბია" იუწყება.

გუშინ მეჩეთის შენობის დაბომბვის შემდეგ მდინარე ტიგროსზე გადებულ ხიდზე მომხდარ ჭყლეტაში, ბოლო მონაცემებით, 1030 ადამიანი დაიღუპა და 360-ზე მეტი დაშავდა. მუსლიმ შიიტთა მასობრივ დაღუპვასთან დაკავშირებით ერაყში სამდღიანი გლოვაა გამოცხადებული. **ინტერპრესნიუსი**

BR

**საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ!**

**გაცნობებთ, რომ საპატრულო პოლიციის მიერ ავტოტრანსპორტის დარგში ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დადგენილი ჯარიმების გადახდა შესაძლებელია ბანკ "რესპუბლიკის" ყველა ფილიალში.**

**ბანკ "რესპუბლიკის" ფილიალების მისამართებია:**

**დელისის ფილიალი**
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (99532) 312161, 312181
ფაქსი: (99532) 312161
ელფოსტა: info@delisi.republic.com.ge

**სადგურის ფილიალი**
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (99532) 911117, 911118, 237043
ფაქსი: (99532) 911117, 911118
ელფოსტა: info@sadguri.republic.com.ge

**გლდანის ფილიალი**
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (99532) 590770, 590880
ფაქსი: (99532) 590660
ელფოსტა: info@gldani.republic.com.ge

**სამტრედიის ფილიალი**
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740
ელ-ფოსტა: info@samt.republic.com.ge

**ზუგდიდის ფილიალი**
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08
ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N1**
თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 13
ტელ: (995 32) 294598, 294599
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: scenter1@republic.com.ge

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N2**
თბილისი, საერთაშორისო აეროპორტი
ტელ: (995 32) 433181
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: ap1@republic.com.ge

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N3**
თბილისი, ფალიაშვილისი ქ. 33ა
ტელ: (995 32) 912237, 912238, 912239, 912240
ფაქსი: (995 32) 912241
ელფოსტა: info@republic.com.ge

**გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N1**
თბილისი, ლუბლიანას ქ. 18/20
ტელ: (995 32) 261629, 517047
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

**გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N 2**
თბილისი,დ. ალმაშენებლის ხეივანი მე-13კმ
ტელ: (995 32) 531951, 531952
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

**თელავის სერვისცენტრი**
თელავი, ნადიკვარის ქ. 13
ტელ: (995 250) 75608, 75607
ელფოსტა: info-telavi@gldani.republic.com.ge

**გორის სერვისცენტრი**
გორი, მოსკოვის ქ. 1
ტელ: (995 270) 70780
ელფოსტა: info-gori@gldani.republic.com.ge

**ზუგდიდის სერვისცენტრი**
ზუგდიდი, პარიზის კომუნის ქ. 1
ტელ: (995 215) 51982

ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08
**რუსთავის სერვისცენტრი**
მშენებელთა ქ. 21
ელფოსტა: info-rustavi@gldani.republic.com.ge


# "არტბარათი", 40 ახალი ბანკომატი და "ანაბარი+" - "საქართველოს ბანკის" კიდევ სამი სიახლე




ნინო ნარჩემაშვილი

*უკანასკნელი თვეების განმავლობაში ინტენსიურად დანერგილი ექვსი ახალი საბანკო პროდუქტის შემდეგ, "საქართველოს ბანკი" კიდევ რამოდენიმე იდეას ახორციელებს და მომხმარებელს ახალ პროდუქტსაც სთავაზობს.*

**"ჩვენი სტრატეგიაა მაქსიმალურად მეტი ახალი საბანკო პროდუქტი დავნერგოთ, აგრეთვე ყველა ის პროდუქტი, რაც მსოფლიო საბანკო სისტემაშია დანერგილი, ამასთან, უზრუნველვყოთ კლიენტის საბანკო საჭიროებების დაკმაყოფილება დროის მინიმალური დანახარჯებით".** - აღნიშნავს "საქართველოს ბანკის" სამომხმარებლო საბანკო საქმიანობის ხელმძღვანელი ეკა კვანტრიშვილი.

სიახლე პირველი:

მონტაჟდება უახლესი მოდელის ორმოცი ბანკომატი, რომლებიც უპრობლემო და კომფორტული მომსახურების შესაძლებლობას იძლევა. "საქართველოს ბანკის" ახალი ბანკომატები შესაბამისად ახალი ტარიფებით იმოქმედებს - თანხის განაღდება 0,5%-ის ნაცვლად 0,2%-ში მოხდება. 40 ბანკომატიდან ექვსი უკვე ფუნქციონირებს საქართველოს რეგიონებში, ხოლო 16 თბილისში.

სიახლე მეორე:

"საქართველოს ბანკს" ხმარებაში შემოაქვს "არტბარათი", უნიკალური, არატრადიციული დიზაინით, რომლის შესაქმნელადაც თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების სპეციალური კონკურსი ჩატარდა და შეირჩა ოთხი ავტორის ოთხი ნახატი, რომლებიც "არტბარათზეა" გამოსახული. ეკა კვანტრიშვილი აღნიშნავს, რომ **"ამ ეტაპზე 40 ათასი "არტბარათია" გამოცემული. 1-დან 15 სექტემბრამდე ახალი ბარათის ნებისმიერ მსურველს შეუძლია გააკეთოს განაცხადი და სრულიად უსასყიდლოდ მიიღოს სარგებლობაში "არტბარათი" მისთვის სასურველი დიზაინით, ხოლო "საქართველოს ბანკის" კლიენტებისათვის ახალი ბარათი ნებისმიერ დროს უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი".** ბარათები შესაბამისად 15 სექტემბრიდან შემოვა სარგებლობაში. და კიდევ, ეკა კვანტრიშვილის განმარტებით, **"არტბარათების" გამოცემა ერთჯერადი აქცია არ გახლავთ. პერსპექტივაშია ახალი კონკურსის გამართვა ქართველი მხატვრების ან ფოტოხელოვანების მონაწილეობით, რომელთა ნამუშევრებიც პლასტიკურ ბარათებზე დაიტანება და ეს ერთგვარად ქართული კულტურის პროპაგანდასაც შეუწყობს ხელს."**

სიახლე მესამე:

"საქართველოს ბანკის" ახალი პროდუქტი "ანაბარი +", ისევე, როგორც ბანკის სხვა +-იანი პროდუქტები, "ანაბარი +"-იც უზრუნველყოფილია დამატებითი საბანკო პროდუქტებით (მიზნობრივი სესხით, შეღავათიანი პირობებით და მინიმალური საპროცენტო განაკვეთით, დაზღვევითა და სხვა). ეკა კვანტრიშვილი აღნიშნავს, რომ **"ანაბარი +"-ით სარგებლობა, გარდა საქართველოს ბანკის მეანაბრეებისა, სხვა ბანკის კლიენტებსაც შეუძლიათ. "საქართველოს ბანკში" დეპოზიტების გახსნის შესაძლებლობა ეძლევათ აგრეთვე უცხოეთის ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენლებს, თანაც ადგილზე ჩამოუსვლელად. ბანკის პერსონალი ყველა საჭირო ოპერაციას თვითონ განახორციელებს."**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, საბანკო მომსახურებით მოსარგებლე საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ აქვს პლასტიკური ბარათი, რაც საკუთარი სახსრების გამოყენებისას მათ გარკვეულ დისკომფორტს უქმნის. "საქართველოს ბანკში" აღნიშნავენ, რომ მათი სურვილია, ბანკის ყველა კლიენტმა აითვისოს პლასტიკური ბარათით სარგებლობა, რათა მომსახურება უფრო ეფექტური და იოლი გახდეს.


USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

**USAID-ის კავკასიის მისია საქართველოში აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე:**
**პროექტის მართვის სპეციალისტი (განათლების სექტორი)**
**ვაკანსია N 114-05-08**

ძირითადი ფუნქციები: ვაკანსიას აცხადებს USAID-ს კავკასიის მისიის საქართველოს ოფისის ჯანმრთელობისა და სოციალური განვითარების განყოფილება. ამ თანამდებობაზე დანიშნული პირის უპირველესი მოვალეობაა ზედამხედველობა გაუწიოს ზოგადი განათლების დეცენტრალიზაციისა და აკრედიტაციის პროგრამას, აგრეთვე პროექტის კომპონენტების განხორციელებასა და მართვას განათლების სექტორში საქართველოს მასშტაბით. შერჩეული კანდიდატის მოვალეობა იქნება დაგეგმოს და შეიმუშაოს ახალი ინიციატივები განათლების სექტორისთვის, თავად მოამზადოს და აგრეთვე უხელმძღვანელოს სხვადასხვა სახის პროექტებისა და პროგრამული დოკუმენტების მომზადებას. ის პასუხისმგებელი იქნება განათლების სფეროში პოლიტიკის საკითხების შემუშავებაზე, მართვასა და მონიტორინგზე, და განათლებისა და მეცნიერების აკადემიისთვის ტექნიკური დახმარების გაწევაზე.

თანამდებობის რანგი: ამ თანამდებობის ზღვრული რანგი არის FSN-10 საწყისი ხელფასის მოცულობა განისაზღვრება წინა ხელფასის, კვალიფიკაციის დონისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით. შესაძლოა შერჩეული კანდიდატი აყვანილ იქნეს FSN-11-ზე დაბალ რანგზე, საჭირო გამოცდილების და კვალიფიკაციის სრულ დაუფლებამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
კანდიდატს მოეთხოვება საუნივერსიტეტო დიპლომი განათლების, ადმინისტრირების ან სხვა მომიჯნავე სფეროში; განათლების, საჯარო ადმინისტრირების, პროგრამის მართვის ან სხვა მომიჯნავე სფეროს მზარდი წამყვანი სპეციალისტის ხუთიდან შვიდ წლამდე გამოცდილება; მსგავსი ხასიათის პროგრამების დიზაინის, განხორციელებისა და მართვის სულ მცირე სამწლიანი გამოცდილება. კანდიდატს უნდა ჰქონდეს მონაცემების, შედეგების ინდიკატორებისა და ფინანსური მართვის ინფორმაციის ანალიზისა და ინტერპრეტაციის გამოცდილება, აგრეთვე მიღებული შედეგებისა და გამოტანილი დასკვნების წერილობითი და ზეპირი პრეზენტაციის უნარი. აგრეთვე, ქართული და ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ფლობა.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა მოაკითხონ USAID-ს კავკასიის მისიის საქართველოს ოფისს, მისამართზე - თელავის ქ. N20, სასტუმრო შერატონ მეტეხი, მე-5 სართული. სადაც მიიღებენ განაცხადის პაკეტს, რომელიც მოიცავს ამ თანამდებობის დეტალურ აღწერილობას, სამუშაოდ აყვანის განაცხადის ფორმას, და დეტალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

შევსებული განაცხადის ფორმა, თანდართული CV , დალუქული კონვერტით უნდა ჩაბარებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 2005 წლის 9 სექტემბრის საღამოს 6 საათამდე. **დაგვიანებით შემოტანილი განაცხადის ფორმები არ მიიღება.**

**ჩვენ დავუკავშირდებით მხოლოდ გადარჩეულ კანდიდატებს. წინასწარი სატელეფონო ზარები ან პირადი შეხვედრები დაუშვებელია.**



**ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" და ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების ფონდი**

**აცხადებს ერთობლივ კონკურსს**

**სოციალურ მეცნიერებებში**
**სამეცნიერო ლიტერატურის**
**ქართულ ენაზე სათარგმნელად**

*პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა:*
***2005 წლის 20 სექტემბერი,** სამშაბათი (17:00 სთ-მდე)*

კონკურსის პირობების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:
**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"**
**ჭოველიძის ქ. N10 (ყოფილი ბელინსკის ქუჩა)**
**ტელ: 25 04 63 ან 25 05 92**
**ფაქსი: 29 10 52**


## საერთაშორისო კონკურსი - საფოსტო მარკის ესკიზი 2006წ.

ეწყობა კორეაში. ესკიზის თემაა: 17 წლამდე - ყოვლისმომცველი სამყარო; 17 წლის ზევით - კეთილმეზობლობის მხარდაჭერა (კულტურული ძღვენი). იქნება სოლიდური ფულადი პრიზები. გამარჯვებული ესკიზით 2006წ. გამოიცემა საფოსტო მარკა. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: შპს "საქარველოს ფოსტა", ვაგზლის მოედანი N2, ტელ: 34 85 69; 98 82 01; ან უბნის საფოსტო განყოფილებაში. www.koreapost.go.kr

## განცხადება

შპს თერჯოლის რაიონის საბინაო გაერთიანება შეიძენს გრეიდერს. დაინტერესებული პირები გთხოვთ დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: თერჯოლის რაიონი, რუდთაველის ქ. N82, ტელ: 8 291 2-19-37, მობ. 899 96-16-27

## დაზუსტება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2005 წლის 23 აგვისტოს, გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება 3(სამი) მაღალი გავლადობის "4X4" მსუბუქი ავტომანქანის ღია ტენდერის საშუალებით შესყიდვას, პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი(ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი,საინდ. კოდი 211343982, ანგარიშის N000141408 კოდი 220101107) აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს 3(სამი) მაღალი განვლადობის "4X4" მსუბუქი ავტომანქანის შესასყიდად, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს,

**2 ავტომანქანა**

| | |
|---|---|
| ძარა | ხუთკარიანი; |
| ტევადობა | მინიმუმ 5 მაქსიმუმ 7; |
| საწვავის ტიპი | ბენზინი; |
| ძრავის მოცულობა | არანაკლებ 2.5 ლ; |
| სიმძლავრე | არანაკლებ 150 ც/ძ; |

სრული ელექტროპაკეტი((ბორტკომპიუტერი);
პასიური და აქტიური უსაფრთხოების სისტემები;
კონდიციონერი კლიმატ-კონტროლით;
გატაცების საწინააღმდეგო სისტემა;
გარანტია არანაკლებ 2 წელი.

**1 ავტომანქანა**

| | |
|---|---|
| ძარა | არანაკლებ 3 კარისა; |
| ტევადობა | არანაკლებ 5 ადგილი; |
| ძრავის მოცულობა | არანაკლებ 1.7 ლ; |
| სიმძლავრე | არანაკლებ 80 ც/ძ; |
| გარანტია | არანაკლებ ერთი წლისა; |

*სატენდერო კომისია*

## ორშაბათი 5.09

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ლუი" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ფორტი ბოიარდი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" (გ) **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ენტერპრაიზი" **16.25** სერიალი "მეამბოხე სულები" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **18.30** პატრული **19.00** სერიალი "მეამბოხე სულები" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სერიალი "თავისუფალი ქალი" **23.00** მხ. ფილმი "ორმაგი აგენტი" (18) (რ. ევერეტი) **02.10** პატრული

**07.30** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "მკვლელი ტბები" **11.00** სერიალი "ანასტასია" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მონსტრების პლანეტა" **12.45** ანიმ. სერიალი "ჯოვანას სიზმრები" **13.00** "სარჩევი" **14.00** დოკ. ფილმი "მოგზაურის გიდი"- დანია **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** სერიალი "სამყაროს შექმნა" მე-2ს. **16.30** დოკ. ფილმი "ველური ძაღლის ისტორია" **17.30** მულტსერიალი "ინსპექტორ გაჯეტის მოგზაურობა" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** დოკ. სერიალი "ჰოლივუდი და დანაშაული" **19.00** სერიალი "ქალი მეგობარი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** სერიალი "ეჟვი" **00.00** მხ. ფილმი "ცოცხალ-მკვდარი" (12) **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** დოკ. ფილმი "ქართული ხმები" **10.30** მხ. ფილმი "თანამგზავრი ქალი" **12.15** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერები" **12.45** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **13.10** სერიალი "დიელი და პასკო" **14.05** კრიმ. სერიალი "სთშ" **14.50** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **15.40** სერიალი "კარაბინერები" **16.40** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **17.30** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** დოკ. ფილმი "ქართული ხმები" **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **22.30** მხ. ფილმი "თამაში ოთხ ხელში" (გ) **00.00** მხ. ფილმი "ღმერთის სახელით" (15)

### მეორე არხი

**19.00** "ბაბილინა" **19.15** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.40** ახალი პროექტი **20.05** სპექტაკლი "ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს"

### იმედი

**07.00** იმედის დილა **10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **10.10** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.15** ვაკაჭი-ნიუსი **11.45** სერიალი "საბრალო ნასტია" **12.40, 16.25, 01.05** ტვ-მარკეტი **13.15** ქართ. ფილმი "მოცურავე" **14.40, 16.15, 17.15, 03.20** იმედის მელოდიები **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.30** ანიმ. ფილმი "ალიქსი" 1-ლი ს. **18.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.00, 23.00, 03.10** ქრონიკა **20.55** სერიალი "საბრალო ნასტია" **21.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.35** მხ. ფილმი "სექსის შემდეგ" (15) (ბ. შილდსი) **01.40** მხ. ფილმი "სირინოზები" (18) (ე. მაკფერსონი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** "ახალი ამბები" **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** სათავგადასავლო ფილმი "ციხესიმაგრე" **11.50** ბოევიკი "რონინი" **14.30** "ახალი ამბები" **14.45** კომედია "სიყვარულის ისტორია" **16.20** მულტფილმი **17.30** "ახალი ამბები" **18.00** "პროექტი მომავალი" **18.30** "ნოვოსტი" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **20.30** "ახალი ამბები" **21.00** კოკა-კოლას თბილისის მე-9 ჯაზ-ფესტივალი **21.30** "პროექცია" **22.00** დოკ. ფილმი "მომავლის მანქანები" 1 ნაწ. **23.30** "ახალი ამბები" **23.45** მხ. ფილმი "ნაცისტები"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Прикл. фильм **"ОСТАТЬСЯ В ЖИВЫХ".** Фильм 9-й. **10.50** Михаил Пореченков в сериале **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 12.20** Док. фильм "Трус, Балбес, Бывалый и другие смешные истории". **13.10** Александр Демьяненко в комедии **"ОПЕРАЦИЯ "Ы" И ДРУГИЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ ШУРИКА". 15.10** "Лолита. Без комплексов". **16.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 17.00** "Федеральный судья". **18.10** "Кривое зеркало". **18.40** Сериал **"УБОЙНАЯ СИЛА". 19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ-2". 22.30** Фильм Леонида Парфенова "Крымская война". **1**-я серия. **23.30** "Беслан. Год спустя". Концерт-реквием. **01.10** Брекин Мейер в комедии **"ТАНЦОР".** На Западе Техаса затерялся крошечный городок под названием Танцор, население которого - всего 81 человек. А в недалеком будущем оно грозит сократиться до 77. Это случится, если четыре местных парня, которые дружат с детства, покинут это место сразу же после окончания школы. Много лет назад они дали друг другу клятву, что поедут в Лос-Анджелес. Выпускной вечер приближается, ребята в раздумьях - уехать или остаться. А местные жители делают ставки... **02.40** Энджи Эверхарт в триллере **"ПОСЛЕДНИЙ КРИК".** Модный фотограф и неотразимый плейбой Джей Си Гэйл обвиняется в убийстве: во время любовного свидания он случайно задушил свою партнершу. Но неожиданно для всех, его осуждают условно и выпускают на свободу. Присматривать за ним поручено офицеру полиции Бет Спинелле. У нее безупречная репутация и идеальный послужной список. И она во что бы то ни стало намерена выяснить, случайно ли произошло убийство. Кто же он на самом деле, этот Гэйл: человек, обожающий острые ощущения, или расчетливый убийца? Ведь задушенная им девушка была лучшей подругой Бет... **04.10** Док. фильм "Власть Нефертити". **05.05** Новые чудеса света. "Биг Бен".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.00** Совершенно секретно. Информация к размышлению. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.30** Георгий Жженов в фильме **"ГОРЯЧИЙ СНЕГ".** По одноименному роману Юрия Бондарева. В ноябре 1942 года наша артиллерийская батарея приняла на себя удар танковой группы генерала Манштейна, пытавшегося прорвать блокаду группировки армий Паулюса. Это был первый, смертельный бой для недавних выпускников военных училищ. Они выстояли, омыв Победу собственной кровью. После сражения от батареи осталось всего одно орудие и несколько бойцов. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА". 17.25** Премьера. Алексей Мясников в сериале **"АЭРОПОРТ: ЭКСКУРСИЯ". 1**-я с. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Премьера. Александр Половцев в сериале **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6: ПРОСТАЯ ФОРМАЛЬНОСТЬ". 20.50** Олег Чернов в боевике **"МОРСКИЕ ДЬЯВОЛЫ: ПОДЛЕДНЫЙ ЛОВ". 22.40** Павел Деревянко в многосерийном фильме **"ДЕЛО О "МЕРТВЫХ ДУШАХ". ФАНТАЗИЯ ПО ПРОИЗВЕДЕНИЯМ Н.В. ГОГОЛЯ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** "Школа злословия". Ток-шоу **01.10** Журнал Лиги чемпионов. **01.45** Людивин Санье в фильме **"КАПЛИ ДОЖДЯ НА РАСКАЛЕННЫХ СКАЛАХ".** Пятидесятилетний Леопольд соблазняет двадцатилетнего Франца, превратив его в жену-домохозяйку. Неожиданно в доме появляются невеста Франца Анне и давняя подруга Леопольда Вера. **03.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО-V". 04.15** Сериал **"ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ". 05.05** Сериал **"ФИЛАДЕЛЬФИЯ".**

## სამშაბათი 6.09

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ლუი" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სერიალი "თავისუფალი ქალი" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "მეექვსე ელემენტი" (გ) **15.25** სერიალი "ენტერპრაიზი" **16.25** სერიალი "მეამბოხე სულები" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **18.30** პატრული **19.00** სერიალი "მეამბოხე სულები" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სერიალი "სამშობლო გიხმობს" **23.00** მხ. ფილმი "პოეტი" (გ) (დაგრეი სკოტი) **02.20** პატრული

**07.30** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** სერიალი "ანასტასია" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მონსტრების პლანეტა" **12.45** ანიმ. სერიალი "ჯოვანას სიზმრები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "ქალი მეგობარი" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** სერიალი "სამყაროს შექმნა" **16.30** სერიალი "ეჟვი" **17.30** მულტსერიალი "ინსპექტორ გაჯეტის მოგზაურობა" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" **19.00** სერიალი "ქალი მეგობარი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** დოკ. ფილმი "გამდიდრების ფორმულა" **23.00** სერიალი "ეჟვი" **00.00** ქართ. მხ. ფილმი "მყუდრო სავანე" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** დოკ. ფილმი "ქართული ხმები" **10.30** მხ. ფილმი "თამაში ოთხ ხელში" (გ) **12.15** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერები" **12.45** ტელეჟურნალი "სცენა" **13.10** სერიალი "დიელი და პასკო" **14.05** კრიმ. სერიალი "სთშ" **14.50** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **15.40** სერიალი "კარაბინერები" **16.40** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **17.30** ფილმი "მატარებელი". ლევან ზბვანელი. **18.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.00** დოკ. ფილმი "ქართული ხმები" **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **22.30** მხ. ფილმი "აფიორა" (გ) **00.00** მხ. ფილმი "გოგონა ხიდზე" (18)

### მეორე არხი

**19.00** "ბაბილინა" **19.15** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.40** პროფესიონალი **20.05** კინოსეანსი "შემსრულებელი"

### იმედი

**07.00** იმედის დილა **10.00** არხის პროფილაქტიკა **15.00, 16.00, 17.00, 18.00** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.25, 01.40** ტვ-მარკეტი **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.15, 04.10** იმედის მელოდიები **17.30** ანიმ. ფილმი "ალიქსი" **18.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.00, 23.00, 04.00** ქრონიკა **20.55** სერიალი "საბრალო ნასტია" **21.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **23.40** მხ. ფილმი "შარლოტა გრეი" (15) (კ. ბლანშეტი) **02.15** მხ. ფილმი "ჩვეულებრივი გოგონები" (12) (რ. უაიზი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** "ახალი ამბები" **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.30** დოკ. ფილმი "მომავლის მანქანები" 1 ნაწ. **11.30** ისტორიული ფილმი "სირანო დე ბერჟერაკი" **14.30** "ახალი ამბები" **14.45** კოკა-კოლას თბილისის მე-9 ჯაზ-ფესტივალი **15.20** ფანტასტიკა "ავტოსადგური" **17.00** მულტსერიალი **17.30** "ახალი ამბები" **17.50** "პროექცია" **18.30** "ნოვოსტი" **19.00** "სპორტი" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **20.30** "ახალი ამბები" **21.00** კოკა-კოლას თბილისის მე-9 ჯაზ-ფესტივალი **21.30** "გადარჩენილი სიტყვა" **22.00** თრილერი "აბსოლონი" **23.30** ახალი ამბები **23.45** მხ. ფილმი "სიყვარულზე უფრო მეტი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ-2". 10.20** Михаил Пореченков в сериале **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 11.30** Разведка. Версия для кино. "Агент Штирлиц". **12.20** Многосерийный фильм **"НОВЫЙ РУССКИЙ РОМАНС". 13.30** Дисней-клуб: "Кряк-бряк". **13.50** Док. фильм "Выйти замуж за миллионера". **15.10** "Лолита. Без комплексов". **16.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 17.00** "Федеральный судья". **18.10** "Кривое зеркало". **18.40** Сериал **"УБОЙНАЯ СИЛА". 19.50** "Пусть говорят" с Андреем Малаховым. **21.00** Время. **21.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ-2". 22.30** Спецрасследование. "Врачебные ошибки". **23.40** Фильм Леонида Парфенова "Крымская война". **2**-я серия. **00.30** Сальма Хайек в фильме **"ФРИДА". 02.40** Дэвид Аркетт в комедии **"ЖИЗНЬ ВО ВРЕМЯ ВОЙНЫ".** Молодой Томми Хадлер поступает стажером в фирму "Охранные системы Григориса" занимающуюся продажей систем безопасности для жилых домов. Его карьера начинается успешно: парню удается подписать контракт с самым первым клиентом. Им оказывается очаровательная женщина, недавно ставшая вдовой. У молодых людей вспыхивает страстный роман. Тем временем, босс предлагает Томми стать лицом фирмы и сняться в рекламном ролике про охранные системы. С этим заданием парень тоже справляется весьма успешно. Все идет просто отлично. Но скоре Томми обнаруживает, что его шеф скрывает от него очень важные вещи... **04.30** Сериал **"МАТРИЦА: УГРОЗА". 05.20** Док. фильм "Жизнь на роликах".

### НТВ

| 50 | ქაღალდის სამაგრი "პალიტრა" | 4 ცალი |
| 51 | ლაზერული დისკეტები "SONI" | 30 ცალი |
| 52 | მაგიდის კალენდრის სადგამი | 25 ცალი |
| 53 | პერმანენტული მარკერი | 6 ცალი |
| 54 | კონვერტები;<br>- პატარა<br>- დიდი<br>საშუალო | 1000 ცალი<br>300 ცალი<br>500 ცალი |
| 55 | საქაღალდე ხელმძღვანელობისათვის | 4 ცალი |
| 56 | ბლანკები;<br>- ბრძანების<br>- ქართული<br>- ქართულ - ინგლისური | 1500 ცალი<br>5000 ცალი<br>500 ცალი |
| 57 | ვიდეო კასეტა | 5 ცალი |
| 58 | ფოტოაპარატის ელემენტი | 30 ცალი |
| 59 | გასავლის ზედდებული | 20 შეკ. |
| 60 | სტეპლერის ტყვიების ამოსაძრობი | 5 ცალი |

| | | |
|---|---|---|
| 57 | ვიდეო კასეტა | 5 ცალი |
| 58 | ფოტოაპარატის ელემენტი | 30 ცალი |
| 59 | გასავლის ზედდებული | 20 შეკ. |
| 60 | სტეპლერის ტყვიების ამოსაძრობი | 5 ცალი |

| | | |
|---|---|---|
| 61 | ფანქრის სათლელი | 2 ცალი |
| 62 | პლასტმასის ასაკრეფი ზამბარები;<br>- 19 მმ<br>- 22 მმ<br>- 25 მმ<br>- 28,5 მმ | <br><br>2 კოლოფი<br>2 კოლოფი<br>2 კოლოფი<br>2 კოლოფი |
| 63 | გამჭვირვალე პლასტმასის ფირფიტები ყდისათვის | 10 შეკ. |

2. სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთო განყოფილებაში და შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 16 სექტემბრის 1000 საათიდან 2005 წლის 19 სექტემბრის 1200 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

**--** ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

**--** ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

**--** ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 23 სექტემბრის 1000 საათიდან 2005 წლის 26 სექტემბრის 1700 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, (ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24, საიდ. კოდი 201955296, ა/ა 001132801, საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო კოდი 220101107) აცხადებს ღია ტენდერს **პროფესიული ლიტერატურის** შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. დაფინანსების წყაროა - ქ. თბილისის ბიუჯეტი.

2. მიწოდების სასურველი ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 1 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 12 სექტემბრიდან 14 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) დადგენილება სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ, წესდების ან დებულების თანდართვით.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ)ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადბული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;

დ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3 როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირისათვის:**

a) ლიცენზია საპროექტო სამუშაოების განხორციელების შესახებ;

b) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების განხორციელების შესახებ:

გ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

d) ინფორმაცია სუბკონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოს შესახებ;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდა.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველს აქვს ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენის უფლება;

7. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო წინადადება, ღირებულებით.

8. სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება დახურული კონვერტებით.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება პრეტენდენტებს 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დავით აღმაშემენლის გამზ. N89/24, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.**

10. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: **ბ. გელდიაშვილი -** სატენდერო კომისიის წევრი და **ალეკო ჩხეიძე -** სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონტაქტო ტელ: 96-91-26 მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N89/24, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, (ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24, საიდ. კოდი 201955296, ა/ა 001132801, საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო კოდი 220101107) აცხადებს ღია ტენდერს **თბილისის ისტორიულ უბნებში ქუჩების განშლების ფიქსაციისა და გრაფიკული მასალების** შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. დაფინანსების წყაროა - ქ. თბილისის ბიუჯეტი.

2. მიწოდების სასურველი ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 1 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 12 სექტემბრიდან 14 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ)ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) დადგენილება სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ, წესდების ან დებულების თანდართვით.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადბული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;

დ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3 როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ლიცენზია საპროექტო სამუშაოების განხორციელების შესახებ;

ბ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების განხორციელების შესახებ:

გ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

დ) ინფორმაცია სუბკონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოს შესახებ;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდა.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველს აქვს ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენის უფლება;

7. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო წინადადება, ღირებულებით.

8. სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება დახურული კონვერტებით.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება პრეტენდენტებს 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დავით აღმაშემენლის გამზ. N89/24, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.**

10. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: **ბ. გელდიაშვილი -** სატენდერო კომისიის წევრი და **ალეკო ჩხეიძე -** სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონტაქტო ტელ: 96-91-26 მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N89/24, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

ფორმულა 1

# ალონსოს და ფიზიკელას ტანდემი

"იტალიის დიდ პრიზამდე" სამეფო რბოლათა მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერი საჯინიბოს "რენოს" მესაჭენი ესპანელი ფერნანდო ალონსო და იტალიელი ჯანკარლო ფიზიკელა მოსკოვს საკუთარი ბოლიდებიანად სტუმრობდნენ. რა თქმა უნდა, ასეთ შანს ხელიდან არავინ გაუშვებდა და ესპანელსა და იტალიელს ჟურნალისტებთან საკმაო ინტერვიუების დარიგება მოუწიათ. მათ შორის ერთ-ერთს ჩვენც გთავაზობთ, რაც ფორმულა 1-ის გულშემატკივართათვის უინტერესო არ უნდა იყოს.

**ფერნანდო ალონსო:**

**- მოდი, ერთი სიტყვით გვითხარი მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც თქვენთვის ძალზე წარმატებულია. როდის ირწმუნეთ პირველად, რომ რეალურად შეგეძლოთ უმაღლესი ტიტულის დაუფლება?**

- ასეთი აზრი პირველად იმოლაზე ("სან მარინოს დიდი პრიზი") მეწვია, მაგრამ უმალ განვდევნე! მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში ასეთი აზრები მაინც მომდის თავში. და მაინც, ჩინეთის რბოლამდე, სეზონის ბოლო ასპარეზობამდე, არ შეიძლება რამეში დარწმუნებული იყო. აბა, შეხედეთ, როგორ მოუმატა "მაკლარენმა"! ჰო, მართლა, რამდენჯერმე მის მრბოლებს საშინლად არ გაუმართლათ და ვინ იცის, იქნებ დარჩენილ ხუთ ეტაპზე ჩვენც არ გაგვიმართლოს?! ამიტომაც გულწრფელად გეტყვით: ჩემპიონობას მაშინ ვირწმუნებ, როდესაც ჩემპიონატის ბოლო რბოლაში ფინიშის ხაზს გადავკვეთ.

**- როგორ უყურებთ იმას, რომ ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში მეტოქედ კიმი რაიკონენი გყავთ? იქნებ ჩემპიონატში პირველი გამარჯვების მოპოვება რომელიმე სხვა მრბოლთან გსურდათ? მაგალითად, მიხაელ შუმახერთან?**

- კიმი ბრწყინვალე მეტოქეა. ამასთან საკმარისად შევისწავლე მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ძლიერი მხარე - ეს მისი ბოლიდია. მაკლარენელებს პელოტონში უსწრაფესი მანქანა ჰყავთ. ხოლო სუსტი მხარე ისაა, რომ მანქანა ხშირად ემტვრევათ. მაგრამ ის, რაც ცუდია კიმისთვის, კარგია "რენოსთვის"!

**- და მაინც, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონთან ჭიდილში დაუფლებულ ტიტულს უფრო მეტი წონა ექნებოდა...**

- ჯერჯერობით არანაირ ტიტულს არ დავუფლებივარ. მერე კი, როდესაც პირველი გადავკვეთ ფინიშის ნიშნულს, სულ ერთია, ვინ იქნება შემდეგი!

**- წინა წლებში ყველაზე მეტად რბოლებს მიხაელ შუმახერი იგებდა, რასაც მოჰყვებოდა შამპანურის ტრადიციული შხაპი. ვიღაცამ შენიშნა, რომ ამ პროცედურების შემდეგ შუმის თმები შეუთხელდა... წლეულს ყველაზე ხშირად თქვენ იგებთ. გამელოტების არ გეშინიათ?**

- ასეთ მიდრეკილებაზე რაღაც არ მიფიქრია... ისე, თუკი ასეთი რამ მართლაც არსებობს, მაშინ გამელოტებისთვის მზად ვარ.

**ჯანკარლო ფიზიკელა:**

**- მიუხედავად იმისა, რომ "რენოში" პირველ სეზონს ატარებთ, ეს გუნდი თქვენთვის მაინც კარგად ნაცნობია - ოდესღაც მას "ბენეტონი" ერქვა და მის ღირსებას იცავდით 1998-დან 2001-წლამდე. 2002 წელს, როდესაც გუნდმა სახელი შეიცვალა, გუნდის ბოსმა ფლავიო ბრიატორემ განაცხადა, რომ სამიოთხი წლის შემდეგ მისი საჯინიბო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებდა. და იბრძვის კიდეც!**

- ჩვენი კოლექტივი საკმაო ხანია, პრაქტიკულად უცვლელი შემადგენლობით მუშაობს. ამასთან გუნდში თავმოყრილი არიან ჭეშმარიტი პროფესიონალები. ბრიატორე მიზანს გვისახავს, მათ კი იციან მას როგორ უნდა მივაღწიოთ.

**- წლეულს თავს ბევრი პრობლემა დაგატყდათ... საეჭვოა, შარშან, როდესაც "რენოსთან" ხელშეკრულებაზე აწერდით ხელს, იმაზე გეფიქრათ, რომ 2005 წლის ჩემპიონატი თქვენთვის ასე რთულად წარიმართებოდა: ტრასიდან სამი გადახვევა, რვა შედეგიანი ფინიში და მხოლოდ ორი საპრიზო ადგილი! ამასობაში თქვენი მეწყვილე იგებს და ჩემპიონატსაც ლიდერობს. იმედგაცრუებული არ ხართ?**

- საუკეთესო გუნდში გამოვდივარ, ავსტრალიაში რბოლა მოვიგე, "იმოლაზე" მესამემ დავასრულე რბოლა - რაზე უნდა ვწუხდე? სხვა რბოლებში მოკრძალებული შედეგები აღმომაჩნდა, მაგრამ ასეთია ფორმულა 1. ამასთან გუნდის წარმატებაში კეთილსინდისიერად შემაქვს საკუთარი წვლილი, რადგან, როგორც ეტყობა, ჩემი და ფერნანდო ალონსოს ყველა წარუმატებლობები ერთიანად მივიღე საკუთარ თავზე.

**- რუბენს ბარიკელომ ხელშეკრულების ამოწურვამდე მოულოდნელად გადაწყვიტა "ფერარიდან" წასვლა, გუნდში განთავისუფლდა ადგილი. გუნდში, რომელში ასპარეზობაც ყველა იტალიელის ოცნებაა. ხომ არ ნანობთ იმაზე, რომ "რენოსთან" ხელშეკრულებამ სკუდერიაში ფელიპე მასას ნაცვლად მოხვედრის შესაძლებლობა წაგართვათ?**

- შევცოდავ თუ ვიტყვი, რომ "ფერარიზე" არ ვოცნებობ. თუმცა ამავდროულად იქაც საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობ თავს, სადაც ვარ. აზრს ვერ ვხედავ იმაში, თუ რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ "რენოსთან" ხელშეკრულება არ მექნებოდა.

**- 32 წლის ხართ. მრბოლელისთვის არცთუ სოლიდური ასაკია, მაგრამ ყველა, ვინც 30 წელს გადააბიჯა, ფიქრობენ იმის თაობაზე, თუ რას გააკეთებენ სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ...**

- ისე კი, ჯერ არ ვაპირებ სამუდამოდ შევაყენო ფარეხში ჩემი ბოლიდი, თუმცა არ ვიტყვი, რბოლების შემდგომ მომავალზე არ მიფიქრია-მეთქი. საბედნიეროდ, იტალიაში ავტოსპორტი ძალზე პოპულარულია. სხვადასხვა ჩემპიონატებში არაერთი გუნდია, მათ შორის "ფორმულა 3", "ფორმულა 3000", GP-2... ვიმედოვნებ, რომელიმე მათგანში მოიძებნება ჩემი გამოცდილებისა და ცოდნისთვის ადგილი. ნებისმიერ შემთხვევაში ავტორბოლებიდან სამუდამოდ წასვლა არ მინდა.

**- იტალია ავტოსპორტის მექადაა აღიარებული, ისევე როგორც ფორმულა 1-ის. თუმცა ალბერტო ასკარის შემდეგ იტალიელებმა მსოფლიო ჩემპიონატის მოგება ვერ შეძლეს. ამ მდგომარეობის გამოსწორების იმედი გაქვთ?**

- იმედი მაქვს, ოღონდ არა წლეულს.



ალონსო და ფიზიკელა თავს კარგად გრძნობენ.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000141408" კოდი 220101107) აცხადებს ღია ტენდერს სამ ლოტად დაყოფილი ხელოვნური ნაგებობების სარეაბილიტაციო და აღდგენითი სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ლოტი-N1: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 168-ე კმ.-ში არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;

ლოტი-2: კორტანეთი-ბუშეთის საავტომობილო გზის კმ.1, მდინარე მტკვარზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;

ლოტი-N3: თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდას საავტომობილო გზის 51-ე კმ.-ში არსებული მილისა და 55-ე კმ.-ში არსებული საყრდენი კედლის აღდგენა.

2. სამუშაოების შესრულების ვადა - ლოტების მიხედვით მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 16 სექტემბრის $10^{00}$ საათიდან 2005 წლის 19 სექტემბრის $12^{00}$ სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება. წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებზე მითითებული უნდა იყოს დაინტერესებულ პირს რამდენ ლოტზე სურს ტენდერში მონაწილეობის მიღება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ლოტების მიხედვით ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

ლოტი-N1: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 168-ე კმ.-ში არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ბულდოზერი სიმძლავრით 79 კვტ | 1 |
| 2 | ექსკავატორი ჩამჩის მოცულობით 0.5 მ³ | 1 |
| 3 | ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ | 2 |
| 4 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 20 ტ | 2 |
| 5 | კომპრესორი წარმადობით 5-6 მ³/წთ | 1 |
| 6 | სამტვრევი ჩაქუჩები | 2 |
| 7 | მიქსერი | 1 |
| 8 | ამწე ტვირთამწეობით 16 ტ | 1 |
| 9 | სატკეპნი მანქანა 7-16 ტ | 1 |
| 10 | ასფალტდამგები | 1 |
| 11 | ელექტროშედუღების აპარატი | 1 |

ლოტი-2: კორტანეთი-ბუშეთის საავტომობილო გზის კმ.1, მდინარე მტკვარზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ბულდოზერი სიმძლავრით 79 კვტ | 1 |
| 2 | ექსკავატორი ჩამჩის მოცულობით 0.5 მ³ | 1 |
| 3 | ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ | 4 |
| 4 | ტუმბო 12 მ³/ს.თ სიმძლავრით | 2 |
| 5 | მიქსერი | 1 |
| 6 | ამწე ტვირთამწეობით 16 ტ | 1 |
| 7 | ჯალამბრები 5 ტ | 2 |
| 8 | ელექტროშედუღების აპარატი | 1 |
| 9 | ვიბრატორი | 1 |

ლოტი-N3: თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის 51-ე კმ.-ში არსებული მილისა და 55-ე კმ.-ში არსებული საყრდენი კედლის აღდგენა.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოგრეიდერი საშუალო | 1 |
| 2 | ამწე ტვირთამწეობით 5 ტ | 1 |
| 3 | ავტობეტონსარევი | 1 |
| 4 | კომპრესორი მოძრავი | 1 |
| 5 | სამტვრევი ჩაქუჩები | 1 |
| 6 | ასფალტდამგები | 1 |
| 7 | ბულდოზერი | 1 |
| 8 | სატკეპნი პნევმატური 16-20 ტ | 1 |
| 9 | ექსკავატორი ჩამჩის მოცულობით 0.5 მ³ | 1 |
| 10 | ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 10 ტ | 6 |
| 11 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 10 ტ | 1 |
| 12 | ავტოგუდრონატორი | 1 |

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

-- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

-- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

-- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 23 სექტემბრის $10^{00}$ საათიდან 2005 წლის 26 სექტემბრის $17^{00}$ საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ ასევე სამივე ლოტზე. სამივე ლოტზე შესაძლებელია, როგორც ერთი გამარჯვებულის, ასევე ცალ-ცალკე ლოტებზე თითო გამარჯვებულის გამოვლენა.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა თითოეულ ლოტზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

*სატენდერო კომისია*

# როცა "სოლიდარობა" დაიბადა...



ამერიკის და პოლონეთის ელჩების "სოლიდარობა".

თეონა ჭაფარიძე

"როცა "სოლიდარობა" დაიბადა, მაშინ ვარშავის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. კარგად მახსოვს ეს დრო," - იხსენებდა პოლონურ 80-იან წლებს გუშინ ბატონი **მულტანოვსკი, პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში.**

ცნობილი "სოლიდარნოსტის" 25 წლის იუბილე პოლონეთის საელჩომ თბილისის ისტორიის მუზეუმში ფოტოგამოფენითა და მცირე ფურშეტით აღნიშნა. 1980 წლის აგვისტოს ცნობილი პოლონური მოვლენების განწყობა **ერაზმ ჩოლექის** ფოტოსურათების საშუალებით კიდევ ერთხელ შეიგრძნო უკვე გამოცდილმა, რევოლუციური თუ მიტინგური ნიუანსებისა და დეტალების კარგად მცოდნე ქართულმა საზოგადოებამ. ამიტომ გამოფენაზე დიდხანს და ყურადღებით ათვალიერებდნენ ლეხ ვალენსას ფოტოებს გდანსკის გემთსაშენში გამართულ მიტინგზე, კარლ ვოიტილას ამ პერიოდის ვიზიტს სამშობლოში და მის შესახვედრად გამოსული ათასობით პოლონელის ფოტოსა თუ ვარშავაში "მრგვალი მაგიდის" შეკრებას. პოლონელები სათუთად ინახავე თავის უახლოეს ისტორიასაც კი, მით უმეტეს, თუ ეს წარსული "სოლიდარობის" პერიოდს - 1980-1989 წლებს ეხება. მაგალითად, გამოფენაზე "მრგვალი მაგიდის" შემდგომი პერიოდის საპარლამენტო არჩევნების პლაკატის ასლიც კი იყო წარმოდგენილი კუპერის გამოსახულებით და ტექსტით - "ერთმანეთს შევხვდეთ 4 ივნისს 1989 წელს, ზუსტად შუადღისას" (არჩევნების დღე).

"ვალენსა შეუფასებელ ლიდერად რჩება. ის ქარიზმატული ფიგურა იყო, რომელიც ერთნაირად იმორჩილებდა დაბალ ფენებს, ინტელიგენციასა და დისიდენტებს. მან მთელი საზოგადოება შეცვალა," - იხსენებდა პოლონეთის ელჩი.

მსოფლიო ისტორიაში უკვე ჩაიწერა მე-20 საუკუნის მიწურულის სიმბოლო - "სოლიდარობის" თეთრ-წითელი ლოგო, თარიღი - 1980 წლის აგვისტო და მაშინდელი პროფკავშირების ლიდერი ლეხ ვალენსა, რომელიც სულ მალე ნობელის პრემიის მფლობელიც გახდა, ხოლო პერიოდი 1980-89 წლები, როგორც პოლონელები ამტკიცებენ, დღემდე ადამიანური სოლიდარობის წლებად რჩება.

პოლონეთი დღეს თავისუფალი, დემოკრატიული, ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყანაა და სკეპტიკურად არ უყურებს თავის 25 წლის წინანდელ არჩევანს.

ნახეთ შავ-თეთრი ფოტოები თბილისის ისტორიის მუზეუმში - ის რეალური სოლიდარობის რეალური ისტორიაა.

# ვენეციაში ჩინური დღეები დაიწყო

გუშინწინ დაწყებულმა კინოფესტივალმა ვენეცია ჩინური კულტურის ავანსცენად აქცია. ფესტივალი საბრძოლო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშით "შვიდი მახვილით" გაიხსნა და ასე დაიწყო ჩინური ეპოპეა იტალიაში. საქმე ის გახლავთ, რომ ორგანიზატორებმა ორი ფავორიტი თემა გამოჰყვეს - გადაწყვიტეს, გაეხსენებინათ ვენეციის დიდი მოტრფიალე კაზანოვა და საგანგებო რეტროსპექტივით აღენიშნათ აზიური კინოს 100 წლის იუბილე.

ცხადია, ჩინური თემატიკის პარალელურად, ვენეცია კინოს ახალ ნიმუშებსაც წარმოადგენს, თუმცა, შემცირებული რაოდენობით - 2004 წლის გადატვირთული ნუსხის შემდეგ წელს ფილმების რაოდენობა ორგანიზატორებმა 56-მდე შეამცირეს.

მიუხედავად ამისა, ლიდოს წითელ ხალიჩას ჰოლივუდის ვარსკვლავები მაინც არ დააკლდება. ცნობილ სახეებს შორის იქნებიან მეტ დეიმონი, გვინეტ პელტროუ, რასელ ქროუ და რენე ზელვეგერი. ჯორჯ ქლუნი კი მაყურებელს თავის გადაღებულ ფილმს აჩვენებს - "ღამე მშვიდობისა და ბედნიერად" - სურათს მაკარტის ეპოქის სირთულეებზე. ქლუნი ამ ნამუშევრით მთავარი პრიზის, ოქროს დათვის მოსაპოვებლადაც იბრძოლებს.

ყველაზე დიდი დრო და ყურადღება კი მაინც ჰონგ კონგის მძაფრსიუჟეტიან ფილმებს დაეთმობა.

გამხსნელი ფილმი "შვიდი მახვილი" ძველი კინოჟანრის - აზიური საბრძოლო ხელოვნების აღდგენას ისახავს მიზნად. ღალატი და ჰეროიზმი, ბრძოლები მახვილით, ეპიკური სცენები, ბევრი აკრობატიკა და ძვირფასი იარაღი - ეს არის თემები და დეტალები, რომელიც ყველაზე მეტად დაამახსოვრდება მაყურებელს. რეჟისორმა ის ლიან იუ-შენის კლასიკური რომანის მიხედვით გადაიღო. მოქმედება მე-17 საუკუნის ჩინეთში ხდება. შვიდი გმირი ცდილობს, ღვარძლიანი გენერლის გავლენისგან დაიხსნას ერთი სოფელი და შვიდივე ამისთვის სხვადასხვა ხერხს იყენებს. რეჟისორი კი დასძენს, რომ თავისი ფილმით აკირა კუროსავას 1954 წელს გადაღებულ კინოკლასიკას "შვიდ სამურაის" მიაგო პატივი, მაგრამ, ცხადია, კუროსავას ცნობილი სურათის რიმეიქის გაკეთებისგან თავი შეიკავა.



ფესტივალი ჯონ ვუს ფილმმა გახსნა.

აზიურ თემას ვენეციაში კორეელი რეჟისორი პარკ ჩან-ვუკის კინოკრიტიკოსებში საკმაოდ გახმაურებული ფილმი განავრცობს - "თანაგრძნობა შურისმაძიებელ ქალს". ეს გახლავთ სისხლიანი შურისძიების შესახებ გადაღებული ტრილოგიის ბოლო, დასკვნითი ნაწილი. ვენეციის სტუმრები ნახავენ სტენლი კვანის "გაუნელებელ სინანულს" და კონკურსგარეშე პროგრამაში კი - პიტერ ჰო-სუნ ჩანის სურათს "ეს ალბათ სიყვარულია".

რაც შეეხება ვენეციის ევროპულ ნაწილს. წარმოდგენილი იქნება 96 წლის პორტუგალიელი რეჟისორის მანოელ დე ოლივეირას ბოლო ნამუშევარი, ფრანგები ჟულიეტ ბინოშით გაიპრანჭებიან, რუსებს კი ნიკიტა მიხალკოვის იმედი ექნებათ. თვითონ იტალიელები სამ საკონკურსო ფილმს აჩვენებენ. 19 საკონკურსო ფილმს შორის გახლავთ გვინეტ პელტროუს "ნივთმტკიცება" და ტერი გილიამის "ძმები გრიმები". სწორედ ამ უკანასკნელი სურათის სარეკლამოდ გამოჩნდება ვენეციაში მეტ დეიმონი.

მაყურებლის ყურადღებას წინასწარვე იპრყობს "მარადიული მებაღე" - რალფ ფაინსის მონაწილეობით, ასევე: მიუზიკლი "სიყვარული და სიგარეტი" - კეიტ უისნლეტის მონაწილეობით და ენგ ლის ვესტერნი "საბედისწერო მთა".

წარმოდგენილ ფილმებს შორის საუკეთესო უნდა აარჩიოს ფრიად პრესტიჟულმა ჟიურიმ, რომელსაც "ოსკარით" დაჯილდოებული რეჟისორი დანტე ფერეტი ხელმძღვანელობს. ჟიურის წევრებს შორის კი არიან გერმანელი რეჟისორი ედგარ რაიცი და ამერიკელი პროდიუსერი კრისტინ ვეჩონი.

კინოფესტივალის სტუმრების არანაკლებ ინტერესს იმსახურებს "ჰირზონტის" პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დიდ ეკრანზე დაბრუნებულ ვარსკვლავს ბიორკს ვიხილავთ. ის თავისი ბრიტანული მეუღლის მეთიუ ბერნის ექსპერიმენტულ ფილმში Drawing Restraint 9 თამაშობს. შეგახსენებთ, რომ ისლანდიელმა მომღერალმა რამდენიმე წლის წინ ჯილდო კანის ფესტივალზე დაიმსახურა ფილმისთვის "წყვდიადში მოცეკვავე".

ვენეციის კინოფესტივალი 10 სექტემბერს დაიხურება. დამშვიდობებაც ჩინური იქნება - ბოლო ფილმი ვენეციაში ზემოთ ხსენებული "ეს, ალბათ, სიყვარულია" იქნება.

# ისევ ლას ვეგასში

ჯორჯ ქლუნიმ სასტუმროების თემა ვერც "ოუშენის 12 მეგობრის" შემდეგ დაივიწყა. ის თვითონ აპირებს, სასტუმროს მეპატრონე გახდეს. ლას ვეგასში 3 მილიარდ დოლარად გაშენდება დასასვენებელი კომპლექსი სასტუმროთი, რესტორნით, და კაზინოთი, სხვადასხვა გასართობი საშუალებებით და მისი მფლობელი სინდი კროუფორდის მეუღლესთან, რენდი გერბერთან ერთად ჯორჯ ქლუნიც იქნება. საკურორტო ცენტრს "ლას რამბლას" ერქმევა.

"ამ პროექტში გაცილებით მეტს ვდებთ, ვიდრე ჩვენს ცნობილ სახელებს. ჩვენ ვდებთ ფინანსებს და საკუთარ შემოქმედებით იდეებს. გვსურს, შევქმნათ ის იდეალური გარემო, რომელიც სრულყოფილად ასახავს ჩვენს გემოვნებას და ინტერესებს", - აცხადებს ქლუნი. ის ბიზნესში ახალია. სამაგიეროდ, მდიდარი გამოცდილება აქვს კროუფორდის მეუღლეს, რომელიც კლუბებს ლოს ანჯელესსა და ნიუ იორკში ფლობს და იმედი აქვს, რომ ახალ ლას ვეგასურ პროექტში ქლუნის გარდა დანარჩენ ჰოლივუდელ მეგობრებსაც ჩაითრევს, პირველ რიგში კი, ბრედ პიტს.

მშენებლობის დასრულების შემდეგ ლას ვეგასში აღიმართება 11 მაღალსართულიანი შენობა, რომელშიც 4.400 სასტუმრო, რესტორანი და სხვა გასართობი დაწესებულებები განთავსდება. მუშაობა 2006 წლის პირველ ნახევარში დაიწყება და პირველი ოთხი ცათამბჯენი 2008 წლის დასაწყისში უკვე მზად იქნება.








შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა

**უფროსკლასელთა საყურადღებოდ!**
**კავკასიის უნივერსიტეტი**
**(კავკასიის ბიზნესის სკოლა /csb/)**

აცხადებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების X-XI კლასელთა მიღებას მოსამზადებელ განყოფილებაზე, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის პროფილით.

საბუთების მიღება წარმოებს 5-დან 25 სექტემბრამდე.

**გთხოვთ, ინფორმაციის მისაღებად მოგვმართოთ:**

**მის: კოსტავას 77, VI კორპ., IV სართ.**
**ტელ: 941-691 , მობ. (899) 925-098**
**საკონტაქტო პირი: ქეთი ქორქია**

PSP ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე"

- ფარმაცევტული კომპანია "პე-ეს-პე" აცხადებს 50 წლამდე უმაღლესი ფარმაცევტული განათლებისა და გამოცდილების მქონე პირების მიღებას საქალაქო ქსელში ფარმაცევტის პოზიციაზე.
- კანდიდატების შერჩევა ჩატარდება 2 ეტაპად.
- აუცილებელია ქართული ენის სრულყოფილად და რუსული ენის თავისუფლად ცოდნა.
- განაცხადები მიიღება 6 სექტემბრამდე.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ შეავსოთ განაცხადი ჩვენს ოფისში შემდეგ მისამართზე: აღმაშენებლის გამზ. 148/III
თან უნდა იქონიოთ ერთი ფოტოსურათი და განათლების დამადასტურებელი
დიპლომისა და სერთიფიკატის ასლები

